

J 1492
2

Дозволено цензурою. г. Тифлисъ, 17 февраля 1906 г.

რა ბრალსა გედებენ?..*)

გერმანიის დემოკრატიის მამათ-მთავარმა იაკობ იაკობიმ თავის შესანიშნავ სიტყვაში „მუშათა საბჭოების მიზანზე“ სთქვა: „მუშათა სულ მცირე კავშირის დაარსებას უფრო მეტი ფასი ექმნება მოშავალ კულტურის ისტორიკოსისათვის, ვიდრე ომის დღეს სადოვოსთან ბრძოლის დროსო“. ეს რომ ერთი წლის შემდეგ ეთქვა მას, შეეძლო დაემატებინა: „ან კიდევ ვიდრე ყველა ბრწყინვალე გამარჯვებას და ბ. ბ. ბონაპარტისა და ბისმარკის“ „წმინდა ომის“ დროს კავალერიის მშვენიერ ბრძოლასო“.

თუმცა ის, რის დაარსებასაც დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ, მუშათა კავშირი როდია, არამედ „სახალხო კავშირია“; მაგრამ ყველას მოგეხსენებათ, რომ კრიმიტჩაუ მხოლოდ მღშობისაგან შესდგება, ყველანი სოციალდემოკრატიულ პრინციპებს აღიარებენ და ამიტომ არსებითად ის მუშათა კავშირია და იაკობის სიტყვები ამასაც შეეფერება.

დიახ, მუშათა სულ მცირე კავშირის დაარსება უფრო დიდი კულტურული მოვლენაა, ვიდრე ყველა დიდი

*) ეს სიტყვა წარმოსთქვა ლიბერალურმა კავშირის დაარსებამ ოქტომბერის კრიმიტჩაუში სახალხო კავშირის დაარსების წლის თავზე.

საქმენი საგმირონი“, ომის და მონარქიული ევროპის-
მიერ შექმნილნი; (ესენი იმედია, კიდევ შექმნიან ასეთ
საქმეებს ეგრეთ წოდებულ „ღირსების ველზე“) მუშათა მცირე რიცხოვან კავშირში ღვივის, ცო-
ცხოვს და მოქმედობს აწმყოს აზრები, მზადდება
დიდებული კითხვების ახსნა-განმარტება, ყველა ეს
ჩვენს ცხოვრებას პროგრესისაკენ მიერეკება, ამავე
დროს კი სალდათი იარაღით ხელში მხოლოდ ანა-
დგურებს, მუსრს ავლებს ყველას, რომ ამით დაი-
ფაროს, დაიცვას წარსულ დროის ქმნილებანი. ყო-
ველი მუშათა კავშირი ყლორტია ახლანდელი დრო-
ის კულტურისა, დანერგილი კაცობრიობის ვენახში,
რომელსაც ანადგურებდენ მხოლოდ „სახელოვანი
ჯარები“, ეს—შკოლაა ქეშმარიტი განათლებისა,
განთავისუფლების მოტრფიალე ადამიანისა, რომე-
ლიც შეურაცხყოფილი და დატანჯულია სამხეგრო
თარეშობით; ეს ახალი ქვეყნის ნაჭერია, რომელიც
სოლივით ჩარტობია ძველ ქვეყანას, რომ დაენმა-
როს მის დანგრევას, განადგურებას.

დღეს ორი ქვეყანა დაპირდაპირებია ერთი მე-
ორეს.—ქვეყანა შეძლებულთა და ქვეყანა შეუძლე-
ბელთა, ქვეყანა კაპიტალისა და ქვეყანა შრომისა,
ქვეყანა მყვლეფელებისა და ქვეყანა გაყვლეფილე-
ბისა, ქვეყანა ბურჟუაზიისა და ქვეყანა სოციალიზმი-
სა—ორი ქვეყანაა ერთი მეორის მოწინააღმდეგე მი-
ზნებით, ლტოლვილებით, შეხედულებით და სხვა
და სხვა ნაირათ მოლაპარაკე ენით; ორი ქვეყანა

ყალყზეა შემდგარი და ერთმა ალაგი უნდა დაუთმოს მეორეს.

უკანასკნელ ომის დროს, როცა ცეცხლის ბურთებსა და აღ-მოკიდებულ ქალაქებს და სოფლებს ბრძკვიალ-ბრძალი გაქონდა, ბეცსაც კი შეეძლო გაერჩია ორი ერთი-მეორის მოწინააღმდეგე ქვეყანა: აქ ძველი ქვეყნის წარმომადგენელი ყველანაირ საშუალებას ხმარობდენ ხალხისათვის მხეცური გრძობები აეშალათ, დაეხრჩოთ ყოველივე აზრი; პატრონებს, ადამიანურ მოქმედებას მსხვერპლათ წირავდენ ვიწრო პატრიოტიზმს. სიძულვილსა და ზიზღს ქადაგობდენ სხვა ხალხის მიმართ და კაცობრიობის უმაღლეს მიზნად კაცის მკვლელობა მიაჩნდათ, — **იქ** კი განზე გამდგარიყვენ ახალი ქვეყნის წარმომადგენლები, მშვიდათ უცქერდენ ისინი ამ აბოზოქრებულ ტალღებს; ამ ეროვნული გარყვნილებითსავესე ბოდვის დროს ისინი ფხიზლათ იდგენ, შეუდრეკელათ ითმენდენ საყვედურს, ცილის წამებას, დევნას; ამაყათ უშვერდენ თავს მოწინააღმდეგებს და შესძახობდენ:

„ის, რასაც თქვენ კეთილშობილიურ მოვალეობის ბეჭედს ასვამთ, ჩვენ მიგვაჩნია გარყვნილებათ; ის, რასაც თქვენ ქებათა-ქებას უგალობთ, როგორც უმაღლეს ბედნიერებას, საღ გონებას და სამართლიანობას ეწინააღმდეგება. ადამიანი — ყველგან იდამიანია ისე, როგორც ჩვენ, თუ გინდ ის სხვა სახელმწიფოში ცხოვრობდეს; მკვლელობა მკვლე-

ლობათ დარჩება მაშინაც კი, როცა მკვლელი და მოკლული სხვა სხვა ენაზე ლაპარაკობდენ და ერთ-ფეროვან ტანისამოსის მაგიერ აქრელებულს ატარებდენ; მკვლელობა დანაშაულია და დანაშაულად დარჩება ყოველთვის, თუნდაც ომში მოხდეს. გამარჯვება უსამართლობას სიმართლეთ აქცევს. ის, რასაც თქვენ პატიოსნებას უწოდებთ, ჩვენ პატიოსნების უარყოფათ მიგვაჩნია; რასაც თქვენ ღირსებას ეძახით—ჩვენთვის ღირსების წინამძღედგია: ის გამარჯვება, რომლითაც თქვენ ტრაბახობთ, ჩვენ ბარბაროსთა გამარჯვებათ მიგვაჩნია; ომი, რაც უნდა ბრწყინვალე იყოს, მაინც საზიზღრობაა, აღამიანს აშფოთებს და დამღუპველია როგორც გამარჯვებულისათვის, ისე დამარცხებულისათვის. სიტყვა „სამშობლო“ ჩვენ როდიღა გვხიბლავს; ჩვენ იმავე თვალით როდი ვუყურებთ „სამშობლოს“, როგორც თქვენ; თქვენი შეხედულება „სამშობლოზე“ რეაქციონურია, კულტურის წინააღმდეგია. კაცობრიობას ეროვნულ ჩარჩოში ვერ მოათავსებთ, ჩვენი სამშობლო—ქვეყანა: *Ubi bene, ibi patria*—სადაც ჩვენ კარგათ ვიქნებით, სადაც შეგვეძლება აღამიანათ დავრჩეთ, ჩვენი სამშობლოც იქაა; **თქვენი** სამშობლო მხოლოდ სატანჯველია, ციხეა, ადგილია, მონადირეებისაგან ალყა-შემორტყმული, სადაც ჩვენ დასაქვრ ნადირს წარმოვადგენთ და სადაც ბევრს ჩვენგანს თავის შესაფარებელი ადგილი არა აქვს.

ლანძღვის დროს თქვენ „უსამშობლოებს“ გვე-
ძახით, მაგრამ ამავე დროს გავიწყდებათ, რომ თქვენ
თვითონ წაგვართვით სამშობლო!

როგორ შეგიძლიათ თქვენ,—თქვენ, რომლე-
ბიც ასე ყოყოჩობთ თქვენი ქრისტიანობით, ჩვენ
გვისაყვედუროთ „არა-ნაციონალობა“? განა ქრის-
ტეს სარწმუნოება იმით არ არის ღირს-შესანიშნავი,
რომ ებრაელთა ნაციონალური ღმერთის ცნება გა-
აფართოვა და საყოველთაო-საკაცობრიო ღმერთათ
აქცია, ე. ი. ეხლანდელი ვნით რომ ვთქვათ, ნა-
ციონალური პრინციპი დაარღვია, და **ნაციონალუ-
რი** აზრი ინტერნაციონალურათ შესცვალა.

თქვენ გალაპარაკებთ მხოლოდ მამა-პაპათაგან
გადმოცემული ცრუ შეხედულება და ანგარება. კა-
ცობრიობის ინტერესი მოითხოვს იმის დამხობას,
რის წარმომადგენლებიც თქვენ ბრძანდებით! და კა-
ცობრიობის ინტერესი დასძლევს და განდევნის
თქვენს კერძო ინტერესს. თქვენი გამარჯვება მხო-
ლოდ თქვენს დამხობას აჩქარებს. თქვენი გამარ-
ჯვების დღესასწაულზე ზარის რეკა—ეგ თქვენი დი-
დების სამგლოვიარო ზარის რეკა“.

მოწინააღმდეგენი განცვიფრებით უყურებდენ
ამ სანახაობას, ისმენდენ იმათვის გაუგებარ ახალ
ქვეყნის ლაპარაკს. თუმცა კაცობრიობის სახელით
პროტესტის გამომცხადებლები სულ მცირე რიცხვს
შეადგენდენ, მაგრამ ყოველივე ქეშმარიტება, რომელიც
გაბატონებისაკენ მიიღტვის, ჯერ უმცირე-

სობაში იბადება, ფეხს იკიდებს; მხოლოდ გამარჯვებულ ქვეშაობებს ემხრობა ყოველთვის უმრავლესობა. რასაკვირველია, ეს უმრავლესობა შესდგება იქნებ თითქმის მუშებისაგან, რომელნიც მოკლებული იყვნენ მემკვიდრეობას თანამედროვე საზოგადოებაში — მაგრამ განა შეიძლებოდა სხვანაირათ? ყოველთვის ხომ დაჩაგრულნი აღვივებდნენ თავისუფლების აღს, ხელს უწყობდნენ კაცთმოყვარეობის გაძლიერებას, რადგანაც გაჭირვება ყველაზე უკეთესი, თითქმის რათათ-ერთი მასწავლებელია კაცობრიობისა. სუსტს ის ასწავლის ლოცვას, მძლავრს — თავისი ძალის გამოყენებას, ფიქრს თავის განთავისუფლებაზე და ვმოქმედებას თავის სასარგებლოთ. ახლა გაჭირვებაში მყოფი მუშები განთავისუფლების საქმეს სწირავენ თავს, ისე როგორც საშუალო საუკუნოებში გლეხებმა თავისუფლებისა და თანასწორობის სახარება გამოაცხადეს; როგორც ჩვენი დროის პირველ ხანებში ღარიბთა და დაჩაგრულთა შორის ქრისტეს სწავლა აღორძინდა.

დღეს პირველათ როდი დგას ორი ქვეყანა ერთი-მეორის პოპირდაპირეთ. მეთვრამეტე საუკუნეში, როცა ბურჟუაზია ჯერ კიდევ დამონებული იყო პოლიტიკურად, მან შექმნა თავისი საკუთარი ქვეყანა აზრებისა და შეხედულებისა, რომელიც სასტიკათ ეწინააღმდეგებოდა მაშინდელ გაბატონებულ ქვეყანას და ბოლოს კიდევაც დაიმორჩილა იგი, ეს

იყო „ზნეობრივი გამარჯვება“, რომელსაც უნდა მოყოლოდა ნიეთიერი გამარჯვებაც.

მაგრამ ისტორია კიდევ უფრო კარგ შესაღარებელ მაგალითს გვაძლევს: ძველი რომაელების ქვეყანა თავისი ძლიერებით უმაღლეს წერტილამდის ავიდა, დასაპყრობი აღარაფერი დარჩა, ყველა სახელმწიფოები ვალდებული იყვნენ ეხადათ მისთვის ხარკი. მდიდრები იხრჩობოდნენ გასაშტერებელ ფუფუნების მორევში, ხალხი-კი იტანჯებოდა აუტანელ მონობის უღელ ქვეშ. მაშინ ამ დამონავებული, დატანჯული ბრბოს **ხინდისი** თანდათან ამხედრდა ამისთანა სამარცხვინო პაპობების წინააღმდეგ და იწყება მოძრაობა, რომელიც მბრძანებლებსა და მდიდრებში პირველათ ზიზღს და დაცინვას იწვევდა, მაგრამ მერე თან და თან შიშს გვრიდა მათ, დაბოლოს ამ შიშმა ძალა დაატანა მათ უმოწყალო, სასტიკი და დაუზოგველ^ი დევნადაწყობათ ახალი სწავლის მიმდევრებისათვის, მაგრამ დევნა მხოლოდ წამებულთ ბადებს, ის ამაგრებს, აფართოებს და ავრცელებს იმ აზრს, რომლის დარღვევას ის ცდილობს. იმათ, ვინც შიში გამოიწვია, „სახელმწიფოსა და საზოგადოების მტრებს“ (ესენი ქრისტიანები იყვნენ), უკრძალავენ ერთად შეკრებას, სამაგიეროთ, ისინი აკლდამებში იკრიფებიან; რა ათას ნაირი საწამებელი მანქანები არ გამოიგონეს იმათთვის; რა საშინელებით და ტანჯვა წვალებით არ ხოცავდნენ ხალხს, მაგრამ სულ ტყუილად. სიკვდილი დევნულთათვის

შხამით სავსე ისარი როდი იყო, ყოველნაირ ტანჯვა-წვალების დროსაც კი მათ ტუჩებზე შებრალების ღიმილი კრთოდა იმჩერჩეტა მიმართ, რომელთაც წარმოდგენილი ქონდათ, რომ აზრს ამით ჩავკლავთ, ჩავახჩობთო. თუ ჩვენი საქმე ღვთიურია, მაშინ თქვენ არ ძალ-გიძთ დალუბოთ იგი; თუ ღვთიური არაა, უთქვენოთაც დაილუბებო“, აი, ასე მიმართავდნენ ხოლმე ისინი თავის ჯალათებს და გამარჯვებაში დარწმუნებულნი, მიილტოდნენ დასასჯელ ადგილსაკენ. „თუ ჩვენი საქმე ღვთიურია“ — ე. ი. ჩვენებურათ, რომ ვთქვათ: თუ ჩვენი მისწრაფება შეეფერება გონებრივ, ზნეობრივ და მატერიალურ ინტერესებს კაცობრიობისას, იმ შემთხვევაში ვერავითარი ძალა ვერ აღმოფხვრის შას; და თუ ის „ღვთიური“ არაა, ე. ი. თუ ის ამ ინტერესების წინააღმდეგია, მაშინ ამ წინააღმდეგობაში დაილუბება სასტიკი ზომების მიუღებლათაც, რომელთაც შეუძლიათ მხოლოდ სიცოცხლე ჩაბერონ მომაკვდავ აზრს.

მაგრამ განა რას გახდენ ეს ლომები, მგელები, ჯვრები და საკირებები? რა ნაყოფი მოიტანეს? ის, რომ კაცობრიობის სინიდისის რევოლუცია შეუღრეკვლათ მიდიოდა წინ, ქრისტიანობამ დასძლია ყოველათ შემძლე წარმართობა, ახალმა ქვეყანამ ყირამალა გადაატრიალა ძველი ქვეყანა. აქ ერთი შენიშვნა. არ იფიქროთ, ვითომც მე მწამდეს ჩვეულებრივი ტრადიციები ეგრეთ წოდებულ „პირველყო-

ფილ ქრისტიანობისა“, არც ის იფიქროთ, ვითომც თანამედროვე ცივილიზაცია ქრისტიანობის შედეგად მიმაჩნდეს, ეს უკანასკნელი შეხედულობა სრულიად უსაფუძვლოა და ძირიანათ ეწინააღმდეგება ქეშმარიტებას; ადვილი დასამტკიცებელია, რომ მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გადაიქცა, ყოველივე გონებრივი და მატერიალური დაწინაურება ხდებოდა ხოლმე ქრისტიანობასთან ბრძოლაში, ქრწტიანობის წინააღმდეგ. ახალი და ძველი დროის ზღაპრები და გადმოცემანი მხოლოდ ზღაპრებია და სხვა არაფერი. იმასაც ვერ უარ ვყოფთ, რომ მეცნიერებას და ხელოვნებას, რომელიც ახალი სწავლის მიმდევრებს წარმართობასთან განუყრელათ მიაჩნიათ, არაფერი საერთო არა ქონდა ამ უკანასკნელთან და წარმართებისაგან უსასტიკეს დევნა-წვალებას ითმენდენ; რაც შეეხება იმ ხანას, როცა ქრისტიანობა ეკლის გვირგვინს ატარებდა, ჩვენი მხრით სისულელე იქნებოდა (კიდევ გვახვევენ თავზე ასეთ სისულელეს) უარ-გვეყო, რომ ქრისტიანული მოძრაობა გამოიწვია აუცილებლობამ, მაშინდელმა პირობებმა, და ეს ზნეობრივი პროტესტი, რომელიც ადამიანთს თანასწორობის გრძნობიდან იბადება, საჭირო იყო, რომ მონობაზე დაფუძნებული დიშპალი წარმართი საზოგადოება დაერღვია და ამით კაცობრიობისათვის პროგრესისაკენ გზა გაეხსნა. რასაკვირელია, წარმოების დაცემას გრძელი და ბნელი ღამე მოყვა. ქრისტიანო-

ბა, მას შემდეგ, რაც სახელმწიფო სარწმუნოებათ
გადაიქცა, მოშორდა იმ დედა-აზრებს, რომელთა
წყალობითაც მან გაიმარჯვა, და ამის შემდეგ თვითონ
გადაიქცა საწამებელ იარაღად. მაგრამ კაცობრიო-
ბის მოძრაობა ერთ წერტილზე როდი გაჩერებულა.
თანასწორობის, ძმობის და თავისუფლების აზრები
უფრო და უფრო ღრმად იღვამდნენ ფესვებს ცხოვ-
რების სიღრმეში. სახელმწიფო ეკლესია სულ ტყუ-
ილათ ცდილობდა ეს ლტოლვილები როგორმე შე-
ებოდა, ტყუილათ აშენებდა ინკვიზიციის სამსა-
ჯულოებს. მას შეეძლო დაეწვა მრავალ ადამიანთა
სხეული, მაგრამ აზრები-კი ფენიქსის მსგავსათ, ისევ
ამოძვრებოდნენ ხოლმე ფერფლიდან უფრო საღი
და ღონიერი ფრთებით. ასი-ათასობით იღუპებოდნენ
ერეტიკები; ჯალათები „უცოდვილობისა“ ბრწყინ-
ვალე „გამარჯვებას“ დღესასწაულობდნენ ხოლმე—
მხოლოდ წუთიერთ-კი. ბოლოს მაინც ერეტი-
კებმა მოიპოვეს გამარჯვება თავიანთ მსაჯულებზე.
რეფორმაციამ დაამხო ძლიერება პაპისა, და ახლა
დამოუკიდებელი პაპი მტრების ხელშია და შესაბრა-
ლის საგანს უფრო წარმოადგენს, ვიდრე შესაშინე-
ბელს.

და მართლაც, ვისაც კი ცოტადენი შეგნების
უნარი აქვს, იმას სარწმუნოების ისტორია ცხადათ
უჩვენებს, რომ უჭკუობა, სიგიჟეა წინმსვლელობის
ბორბლის უკან დახევის განზრახვა. როგორც სა-
უკუნოების ერეტიკოსთა მსაჯულები დაწყველილი

იყვნენ კიცობრიობის მსჯავრისაგან, ისე თანამედროვე ერეტიკოსთა მსაჯულები, რომელნიც პოლიციური ზომებით ცდილობენ დაახშონ სოციალიზმის მოძღვრება, შეჩვენებული იქმებიან კაცობრიობისაგან; როგორც საშუალო საუკუნოების ერეტიკოსებმა გაიმარჯვეს თავის მსაჯულებზე, იმნაირადვე დაამარცხებენ თავის მსაჯულებს ახლანდელი ღროის ერეტიკოსები. იქნება ფიქრობენ, რომ ჩვენს მოძღვრებაში უფრო ცოტა სასიცოცხლო ნიშან-წყალია, ვიდრე პირველ ღროის ქრისტიანების მოძღვრებაში? რა ცრუ წარმოდგენაა!

იმ როლს, რომელსაც ქრისტიანობა ასრულებდა ძველი რომაელების ქვეყნის დანგრევის საქმეში, — დღეს, სოციალიზმი ასრულებს ბურჟუაზიული ქვეყნის დანგრევის საქმეში. როგორც მაშინ, ისე ახლა ადამიანის სინილის აშფოთებს ის უხამსი მატერიალიზმი*), რომელიც ყოველ იდეალს მოკლებულია და აპირუტყვებს ადამიანს; როგორც მაშინ, ისე ახლა მხოლოდ ღარიბებში აღორძინდა და გაღვივდა ახალი ქვეყნის თესლი; როგორც მაშინ მათ, ისე ეხლა ჩვენ ხელი ავიღეთ ეროვნულ ცრუმორწმუნოებაზე. მაგრამ არის არსებითი განსხვავებაც: სოციალიზმის წინააღმდეგ **მეცნიერება** როდია, პირიქით, სოციალიზმი მეცნიერებაზე მაგრათაა დაყრდ-

*) მე აქ მხედველობაში არა მაქვს მეცნიერული მატერიალიზმი, რომელსაც მე, რასაკვირელია, უარს არ ვყოფ.

ნობილი, თუმცა მეცნიერების ბრძენნი ხშირათ
ემსახურებიან მამონს; ეს მხოლოთ გრძნობის საქმე
როდია, არამედ ჭკუისაც. სოციალიზმიც თავის
მოდღერებას ამყარებს არსებულ საზოგადოებრივი
ურთიერთობის ნათელ შეგნებაზე და განსახლერუ-
ლი, განსახორციელებელი პროგრამმა აქეს საზო-
გადოების და სახელმწიფოს გადასაკეთებლათ, განსა-
ახლებლათ, ან უკეთ რომ ვთქვათ: **საზოგადოების**
განსახლებლათ, რადგანაც სახელმწიფო (ავათ თუ
კარგათ) წარმოადგენს ორგანიზაციულათ მოწყობილ
საზოგადოებას. როგორც გრძნობისა და სინილისის
საქმე, სოციალიზმი შეიცავს მთელ ძალას ქრისტიან-
ობისას, — მიაქციეთ ყურადღება, რომ მე აქ ვლა-
პარაკობ პირველ დროის ქრისტიანობის მოძრაო-
ბაზე. — ხოლო როგორც ჭკუა-გონების საქმე, სო-
ციალიზმი შეიცავს მთელ ძალას მეცნიერებისას.
თუ პირველი ქრისტიანები მხოლოთ გრძნობის მე-
ობებით იყვენ შეუდრეკელნი და დაუმარცხებელნი,
რამ უნდა დაამარცხოს სოციალიზმი, რომელსაც
გრძნობა აძლევს ძალას სარწმუნოებისას, ხოლო
ჭკუა-გონება კი — ძალას მეცნიერებისას!

თუ სიტყვას „სარწმუნოება“-ს სასწორით გავი-
გებთ, მაშინ მე ვიტყვი: **სოციალიზმი არის ერთ**
და იმავე დროს სარწმუნოებაც და მეცნიერებაც.
სოციალიზმს მუშების გულის სიღრმეში აქეს ფესვი
გამდგარი და ამიტომ მისი აღმოფხვრა ეშმაკობით,
ძალით, სოფისტიური და ცრუ მსჯელობით პოლი-

ციით და ხიშტიან თოფით ყოვლად შეუძლებელია. ყოველ მუშაში, შეგნებით თუ შეუგნებლად, ცოტათ თუ ბევრად განვითარებულია ნასახი სოციალიზმისა და ამ ნასახის—ახალი ქვეყნის ნასახის—ჩაქრობა, ჩახრჩობა შეუძლებელია. საშველი აღარ არის! შეიძლება ცრუობა, თვალების დახუჭვა, დაბეზლება, ცემა-ტყევა,—მარა სულ ტყუილად, სულ უბრალოდ ჩაივლის ეს. მოძრაობა მაინც წინ მიექანება ბუნების აუცილებელ კანონების თანახმად, დევნა მხოლოდ უფრო ამაგრებს სოციალიზმს, ისე როგორც ქრისტიანობას ამაგრებდა. მუშები შესძლებენ თავის რწმენისათვის დაიხოცენ ისე, როგორც ქრისტიანები იხოცებოდნენ. სოციალიზმს ყავს თავის წამებულნი, ისე როგორც ქრისტიანებს, და კიდევ ათი და ასი ათასობით რომ დაიხოცონ, ეს მაინც ვერ დაუშლის სოციალიზმს ბოლოს მაინც გაიმარჯვოს, როგორც ქრისტიანებს ვერ შეუშალა ხელი. ყოველი წამებულის სისხლიდან ასობით წარმოიშობიან ახალი წამებულნი: გაძლიერებული განსაცდელი აფოლადებს გამბედაობის გრძნობას და საფრანგეთის რევოლიუციის ერთი თქმულებისა არ იყოს: „ვინც სიკვდილთან პირობა შეკრა, მისთვის გამარჯვება უზრუნველყოფილია“. „სისხლმა და რკინამ“ დღე მხოლოდ—მხდალები და ლაჩრები შეაშინონ, ჩვენკი სიცილათაც არ გვყოფნის მუქარა და განსაცდელი.

გადავხედოთ საფრანგეთს, ამ უშველებელ პო-

ლიტიკურ და სოციალურ საცდელ მინდორს, სადა დაც დიდი ხანი როდია, რაც კომუნის დიდებულთა ტრაგედია დატრიალდა. სოციალისტური პროლეტარიატი, რომელიც აბობოქრებულ ტალღებივით აღსდგა პარიჟში პოლიტიკურ უფლებების მოსაპოვებლათ, დაიღუპა პრუსიის და საფრანგეთის შეერთებული ჯარებისაგან. ორმოცი ათასი მუშა იქმნა მოკლული ამ ბრძოლის დროს, ამდენივე იქმნა დატუსაღებული, რომ ბინძურ ციხეებში, აყროლებულ გემების კედლებში, ცხელ ქვიშიან უდაბნოებში და ახალი კალედონის შხამიან ქაობებში მსხვერპლი გამხდარიყვენ აგულქვა გილიოტინისა*. როგორ ცას ეწეოდენ ძველი ქვეყნის წარმომადგენელნი! სოციალური კითხვა აღიგავა დედამიწის პირიდანო, სოციალიზმი ოთხმოცი ათასი მუშის სიკვდილით ჩაკლულია ან და სასიკვდილოთ მზათააო.

განა მართლა მოკვდა სოციალიზმი? ამ ვაჟბატონებს ძალიან მოკლე მეხსიერება ქონიათ. ამ კატასტროფის ოცდა სამი წლის წინეთაც პარიჟი ასპარეზს წარმოადგენდა ამნაირივე ტრაგედიისას, რომელიც არანაკლებ დიდებული იყო, თუმცა კი ამდენი სისხლის ღვრა არ მომხდარა. საფრანგეთის **თებერვლის რევოლიუცია** საზოგადოთ თქვენ კარგად მოგეხსენებათ. პარიჟის პროლეტარიატმა დაამსხვრია ივნისის ტახტი. პროლეტარიატმა დაიჯერა ლიბერალური ბურჟუაზიის რევოლიუციონური ფრანგები ბურჟუაზიულ სამეფოს გარყვნილების შესახებ,

და ბოროტების ფესვების განადგურებას შეუდგა. მაგრამ რევოლუცია მისთვის ფრაზა კი არ იყო მხოლოდ, მას არ უნდოდა, რომ როცა ქერქში გახვეულ ექსპლოატაციას და გარყენილებას მოსპობდა, შემდეგ სხვა ქერქში გახვეულიყვენ და ტახტზე დასკუპბულიყვენ.

მოწვეულ იქმნა დროებითი მთავრობა, რომელიც შესდგებოდა უმეტესად „წმინდა“ რესპუბლიკანელებისა და სოციალიზმის რამოდენიმე წარმომადგენლებისაგან. მუშებმა, როგორც უფრო სანდობმა და დიდ-სულოვანმა ხალხმა, ვიდრე ქკუიანებმა, გამოუცხადეს მართებლობას: „ჩვენ ვიცით, რომ უმრავლესობა თქვენი არ თანაუგრძნობს ჩვენს მისწრაფებას, მარა ჩვენ, რამდენადაც შესაძლებელია, გვსურს ავიცილოთ მომავალი სისხლის ღვრა. — ჩვენ სანი თვის უბედურობის თანახმა ვართ; სამ თვეს მოვითმენთ ყველაფერს; ამ სამ თვეს გაძლევთ გამოსაცდელად. თუ ამ ვადის შემდეგ ჩვენ დავინახეთ, რომ პატიოსნები ხართ, გსურთ რაიმე გააკეთოთ მშიერი პროლეტარიატისათვის, ძალიან კარგი, მაშინ სოციალური კითხვა მშვიდობიანათ გადაწყდება. მარა, თუ დავინახეთ, რომ ხელახლავ მოტყუებული დავრჩით, იმ შემთხვევაში ჩვენს თავს ჩვენვე უნდა მოუაროთ“. მართებლობა ყველაფერს პირდებოდა და ყველაფერში კი მოატყუა. ნაციონალურ სახელოსნოებს, რომლებიც ჩვენს ბურჟუა-

ზიულ პრესას სოციალიზმის ქმნილებად მიაჩნდა, იმისათვის აშენებდნენ, რომ **მუშათა არმია** შეექმნათ **სოციალიზმის წინააღმდეგ**. ეს საცდელი მინდორი იყო, რომელიც საფრანგეთის მუშათა კლასობრივმა შეგნებამ დაანგრია. არ აუსრულდათ წადილი მშრალზე გაეცურებიათ პროლეტარიატი—მეტი ჯანი არ იყო ყუმბარებით უნდა ამოეწყვიტათ მუშები.

მართლაც, მიღებულ იქნა საჭირო ზომები და, როცა ბურჟუაზია (რომელიც დროებითი მთავრობაში და მაშინ მოწვეულ ნაციონალურ კრებაში ბატონობდა) თავის გამარჯვებაში დარწმუნდა, მაშინვე გამოყარა ნაციონალურ-სახელოსნოებიდან (30,000) ოცდა ათი ათასი მუშა და აიძულა ისინი ან შიშხილით დახოცილიყვენ ან და ებრძოლათ. სამი თვის ვადა „შიშხილის თამაშუქისა“, 18 მარტს დანიშნული, გავიდა. ივნისის 21 და 22 პროლეტარიატი საბრძოლველად ემზადებოდა და მეორე დღეს ომი გაჩაღდა. ჩემი მიზანი როდია **ივნისის აჯანყების** სურათი დაწვრილებით განვიხილო. ვიტყვი მხოლოდ, რომ ოთხი დღის გმირული ბრძოლის შემდეგ ორმოცი ათასი მუშა ამოიყლიტა ჯარის ტყვიებით, რომელიც შესდგებოდა ოთხმოცი ათასი გაწვრთნილი სალდათისაგან და ორმოცი ათასი საერო გენდისაგან. გამარჯვებულნი შემზარავი სიყვასტებით იქცეოდნენ—ტუსადებს ათასობით, ელეტდნენ; ბრძოლის დროს და მერე მოკლულ მუშების ~~საქმე~~ თორმეტ ათასამდის უწევდა; თი-

თქმის ამდენივე იყო ტუსაღების რიცხვი, რომელთა ერთბაშით ამოხოცვის შეეშინდათ, და გაგზავნეს ლამბესსა და კაიენში, სადაც უმრავლესობა ცული მოპყრობისა და ჰაეის წყალობით მთლათ ამოწყდა.

გამოუთქმელმა მხიარულებამ მოიცვა ბურჟუაზია იენისის მებრძოლთა დამარცხების გამო. სოციალიზმი შეიმუხრა, „საზოგადოება გადარჩა“ თავისი ბარგი-ბარხანით, თავის „ოჯახით“, „საკუთრებით“ და ათასი სხვა მშვენიერებით, რომელსაც ბურჟუაზია სიტყვით აღმერთებს, ხოლო ნამდვილათ კი ფეხ ქვეშ თელავს და ჩირქსა სცხებს.

სოციალიზმი მოკვდა! თორმეტი ათასი „ყაჩაღი“, „კაცის მკვლელნი—სისხლის მსმელნი“, „თანამედროვე ბარბაროსები“—აი რა მარგალიტებით ამკობდენ მაშინ დახოცილ მებრძოლთ. ეს კიდევ რაა! მე არ შემიძლია ჩამოვთვალო ის სალანძღავი სიტყვები, რომელთაც მაშინ დიდი გასავალი ქონდათ; წაიკითხეთ ჩვენი ჟურნალ-გაზეთების წერილები და ფრანგეთის კომუნის შესახებ და იქ პოვებთ სიასამ სიტყვებისას. ბურჟუაზიის ჟურნალისტ-დამქაშებმა არ დაიზარეს კიდევ ახალი სალანძღავი სიტყვები გამეგონათ,—თორმეტი ათასი სოციალისტი მოკლულ იქნა, თორმეტი ათასი უმცირესობის რევოლუციონისაკენ“ მიემგზავრება. ესაა მთელი მსოფლიოში მომავალში რაიმე ხიფათიანი რამის მიმდინარეობის მკვდარი და დამარხული იყო; მისი გეგამი ღრმად იყო ჩაფლული მიწაში და გ

ციალიზმს კიდევ შეეძლო მკვდრეთით აღდგომა? დრო მიდიოდა—რესპუბლიკაც მალე უნდა ჩასვენებულიყო საფლავში და სოციალიზმიც გვერდით მოთავსებულიყო. და თვითონ ნაპოლეონმა ხომ ამ სასაფლაოზე აღმართა თავისი ტახტი! განა შეიძლებოდა ხელახლავ ამდგარიყო მკვდარი სოციალიზმი? ქვეყანას „სისხლი და რკინა“ მართავდა, პრესა ან დამონებული იყო და ან მოსყიდული; ყველაფერს ისე აწყობდნენ, რომ მუშები იმპერიისათვის მიემხროთ. ხალხის გრძნობა სისტემატიურათ იწამლებოდა; ცხადი და საიდუმლო პოლიცია არასოდეს ისე გაძლიერებული და ისე მკვიდრათ მოწყობილი არ ყოფილა, როგორც მაშინ, და უმადლეს სახელმწიფო დაწესებულებად გადაიქცა; არმია, როგორც მის ქეშმარიტ დანიშნულებას შეფერებოდა, გადაიქცა პრეტორიანელების გვარდიად, ქოთაკივით გაწრთვნილ ბრბოს წარმოადგენდა, რომელსაც ხალხზე სანადიროთ გეშადვენ; ერთი სიტყვით, რეაქციონულმა სახელმწიფომ ყოველივე საშუალება იხმარა, რომ თავიდან აეცდინათ ახალი აფეთქება. რაც ბონაპარტმა გააკეთა, ამაზე მეტი არც ერთ მართებლობას არ შეეძლო გაკეთებია და მე არა მგონია, არსებულიყოს როდისმე სხვა მართებლობა, რომელსაც შეძლებოდა ამდენი გაკეთებია. ის, რასაც ბისმარკი და შტიბერი აკეთებენ, მხოლოდ იმპერიის მიზანძევა და მეტი არაფერი; რათქმა უნდა, გასაკვირველი არაა, რომ ნაპოლეონი მთელი ქვეყ-

ნის კერპათ გადაიქცა, განსაკუთრებით-კი გერმანიის ბურჟუაზიისათვის. ყოველს თქვენგანს ეხსომება, ჩემო შეგობრებო, როგორ ბიზანტიურათ თაყვანს ს'ცემდენ ამ კაცს, 2 დეკემბერს, ჩვენი ლიბერალური გაზეთები: „კლადდერაჩი“, სახალხო გაზეთი, ნაციონალური გაზეთი—და შესანიშნავი ის იყო, რომ რაც უფრო გაზეთი ლიბერალობდა, მით უფრო გულმოდგინეთ უკმევდა გუნდრუკს, ის მოჩვენება იყო ადამიანის სახით, დაჯილდოვებული იყო ღვთიური სიბრძნით და ყოვლად შემძლებელის თვისებებით. მარა რით გათავდა ყველა ეს?

ოცდა სამი წელიწადი იწვა მიწაში მკვდრად! მიჩნეული გმირი, მარა აი მან წამოიწია, 1870 წ. 4 სექტემბერს წელში გაიმართა და საფლავიდან ამოძვრა:—ტახტი ბონაპარტისა დაეცა და სოციალიზმი გაცოცხლდა

ნახევარი წლის შემდეგ შესდგა პარიჟის კომუნა. სოციალიზმი, რომელმაც 1848 წ. მხოლოდ 4 დღეს გაუძლო ბრძოლას, ახლა ორ თვეზე მეტს ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთის და გერმანიის შეერთებულ ჯარებს, და მხოლოდ 8 დღის ქუჩაში ბრძოლის შემდეგ იქმნა დაძლეული. ხოცვა-ჟლეტა მეტი იყო, ვიდრე 1848 წ. და საკატორგო ხალხის რიცხვიც გაორკეცდა. საფრანგეთის ბურჟუაზიამ გადაწყვიტა ახლა კი საფუძვლიანათ გაეწმინდა საფრანგეთი მუშებისაგან და სხვა ქვეყნის ბურჟუაზია კი ამაზე აღტაცებით ტაშს უკრავდა.

მარა შემდეგ, როცა ოთხი თვე ძლივს გავიდა, ბურჟუაზიამ უკვე იგრძნო, რომ მისი გამარჯვება—ეს პირრის გამარჯვებაა, და მისგან მოქმედი დანა შიგ გულში ჩაესო თვითონ მას. ბურჟუაზიამ იმნაირად მოახდინა გაწმენდა, რომ ახლა იმას არ ყოფნის მუშები არც სახელოსნოებში და არც ქარხნებში, და სოციალიზმი კი მინც მკვდარი არაა, ის ცოცხლობს პარიჟში, საფრანგეთში, გერმანიაში და ყველა კულტურულ ქვეყნებში,—ის ცოცხლობს ყოველი მუშის მკერდში, რომლის გულსაც კი შეუძლია იგრძნოს, ხოლო თავს—იფიქროს. ბურჟუაზიას ხომ არ შეუძლია ყველა გასწყვიტოს; და თუ ამას შესძლებს, მოახერხებს, ამით რას მიახწევს? **ის ხომ ამით თავის თავს მოიკლავს!** ბურჟუაზია არსებობს მუშის წყალობით; **უშუშოთ** მისი არსებობა მოისპობა და **მუშისაგანვე** დაიღუპება ის—ამ მოჯადოებულ წრეს ის თავს ვერ დაახწევს. ბურჟუაზიის განვითარება პროლეტარიატის გამრავლებასაც მოითხოვს, მარა ეკონომიური ურთიერთობა პროლეტარიატს სოციალიზმისაკენ მიაქანებს. რაც მეტი ძალა აქვს ბურჟუაზიას, მით მეტად იზრდება პროლეტარიატის რიცხვი, მით უფრო ძლიერია სოციალისტური მოძრაობა, მით უფრო ძლიერნი არიან ბურჟუაზიის მოწინააღმდეგენი. ბურჟუაზიას თუ უნდა ბურჟუაზიად დარჩეს, მან უნდა გაამაგროს პროლეტარიატი და მასთან ერთათ სოციალიზმიც, რომელიც მას გაანადგურებს. თუ ის ებრძვის

პროლეტარიატს და სოციალიზმს, ამით ის არღვევს საფუძველს თავისი საკუთარი ძალა—უფლებისას, თავის **არსებობისას**. ამ „მოჯადოებულ წრეში“ უნდა დაიღუპოს იგი. „სისხლსა და რკინას“ არ ძალუძთ აღგავონ პირისაგან ქვეყნისა სოციალისტური მოძრაობა. 1848 წ. იენისში ტყუილი ცდა იყო, და ვერც 1871 წ. მოიპოვა პარიჟის სისხლით გაბასრულმა თავისუფლებამ დიდი გამაჯვება. როგორც იენისის აჯანყებამ თავისი კვირა კომუნის დროს იღღესასწაულა, ისე კომუნა იღღესასწაულებს შემდეგში; შესანიშნავი სისწრაფით განმეორდება აფეთქება, სანამ ძველ ქვეყანას არაქათი არ გაელევა, სანამ ის ერთიანათ არ დაინგრევა,—ან და შესაძლებელია, რომ ყველაფერი მშვიდობიანი გზით გათავდეს.

ტლანქი ძალა ვერ დაახჩობს სოციალიზმს. ვინც თავისი უფლების შეგნებით გამსჭვალულია, იმან არ იცის, რა არის შიში. დეე ციხეში ჩაგვყარონ, დაგვხოცონ—ჩვენი საქმე ამით არ შეფერხდება. ისეთივე დაუძლეველი ძალა, რომელმაც ძველ ქრისტიანებს შეაძლებინა ღიმილით აეტანათ ტანჯვა-წვალება, აფრთოვანებს სოციალ-დემოკრატებსაც. ჩვენ მედგრათ მივექანებით იქითკენ, საითკენაც ჩვენი რწმენა გვიწვევს, ეს ჩვენი სავალი გზა მკვდრებითაც რომ იყოს მოფენილი, ჩვენ მაინც წინ გავსწევთ, და გავსწევთ სანამ ჩვენს მიზანს არ მივახწევთ.

მარტო ძალ-მომრეობით სოციალ-დემოკრატია-სთან ვერაფერს გააწყობ. ამას ძალიან კარგათ გრძნო-

ბენ ჩვენნი მტრებიც; ამიტომ ისინი ფიქრობენ— გვაჯობონ „გონებრივი“ იარაღით. ისინი აარსებენ მუშათა კავშირებს, სადაც ცდილობენ ჩააგონონ მუშებს—კაპიტალსა და შრომას შორის სრული თანხმობა არსებობსო; მუშის პირდაპირი ინტერესია კაპიტალისტს მხარი მისცესო, შუღლი და განხეთქილება ამ ორ კლას შორის პატივ-მოყვარე, არაკეთილ სინდისიერ და ტვინ-დამთხვეულ ადამიანების ერთმა ჯგუფმა ჩამოაგდო.

რა გვენადღვლება აარსონ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა მუშათა კავშირები?! ისინი ჩვენთვის აარსებენ მათ! მუშა ამ „თანხმობის“ მოძღვრების სიყალბეს ყოველ ნაბიჯზე ხედავს ცხოვრებაში. და თუნდაც მუშა ბურჟუაზიული პრესის ზე-გავლენით ძლიერ ამხედრებულიც იყოს სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ, ის მალე აუღებს აღლოს კლასობრივ წინააღმდეგობას და მთელი მისი არსებობა სოციალური ბრძოლით გაიჟღენთება; გამოცდილებით დაბრძმებული ის მიხვდება, რომ თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოებაში მუშის და კაპიტალისტის ინტერესები პირდაპირ ეწინააღმდეგება ერთმანეთს: მუშის ინტერესია, რაც შეიძლება, მოიმატოს სამუშაო ქირა, კაპიტალისტისა კი—რაც შეიძლება დაუკლოს. ყველაფერ სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო ეს უთანხმოებაც საკმაოა, რომ მათ შორის სუფევდეს მუდმივი, დაუსრულებელი დავა და შეჯახება,—ერთი სიტყვით, **კლასობრივი ბრძოლა** ცოტათ თუ ბევრათ გამწვავ-

ვებული სახით. აი თუნდა ამ უკანასკნელ დროს რა მწარეთ დასცინა ისტორიამ „თანხმობის“ მქადაგებელთ: ყველაზე უფრო ხანგრძლივ და ცხარე **გაფიცვებს** სწორეთ ის მუშები მართავდენ, რომლებიც გირმ-დუნკერის სახელოსნოში თანხმობის სახარებას სწავლობდენ, ეს ღვთიური აზროვნების ტკბილი რძე, კაპიტალისტთა არა-ადამიანური მოპყრობის წყალობით, მწარე შხამად გადაიქცა. ასე მოხდა გაფიცვა გერმანიაში, ვალდენბურგში, ფორსტში და სხვაგან. გაფიცვა—ე. ი. მუშაობის შეწყვეტა, ქუჩაში ბრძოლის შემდეგ, კლასობრივი ბრძოლის უძლიერესი იარაღია. ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ბოლო დროს უსასტიკესი შეტაკება მუშათა და კაპიტალისტთა შორის მოხდა პრუსიის **სახელმწიფო** მდაროებში (კენიგსგიუტე); სადაც სოციალისტური შხამის ერთი ნამცეციც არ შეპარულიყო.

მე ვფიქრობ, ესეც სრულიად საკმაოა ჯეროვანი სინათლე მოვფინოთ იმ სიცრუეს, ვითომც სოციალური მოძრაობა „გამოწვეული“ იყოს რამდენიმე კაცისაგან. მარა უფრო ღრმათ გავშინჯოთ ეს კითხვა. ჰო, თურმე ნუ იტყვით, რამდენიმე კაცი იყო იმ მოძრაობის დამწყები, რომელიც ასე ერთნაირად მოედვა ყველა კულტურულ ქვეყნებს, და აგერ ერთი თაობაა, რაც ევროპის ბედის ჩარხს ატრიალებს (მან გამოიწვია, სხვათა შორის, მეორე იმპერია და ბისმარკის დღევანდელი პოლიტიკაც)

რა შეურაცხებაა მუშებისათვის ამისთანა წარმოდგენა! განა ასი ათასობით, მილიონობით მუშები ისე გაბრიყვდებიან, რომ თავს წაატყუებინებენ თითო ოროლა კაცებს, ისე როგორც ცხვრები გაყვებიან ხოლმე თხას?!

ჰვი, თქვენ, ბატონო ბურჟუეზო და ყველა რეაქციონერო!

მუშები რომ მართლა ისე უგზო-უკვლონი ყოფილიყვენ, როგორც თქვენ ფიქრობთ ან და თავს ატყუებთ, მაშინ ხომ **თქვენს** ბადეში დაიწყებდნენ ფართხალს: თქვენ ხომ ყოველნაირ საშუალებას ხმარობთ როგორმე დაიჭიროთ ისინი და საშუალებაც ხომ მეტი გაქვთ მათზე ზნეობრივი და ნივთიერი გავლენის მოსახდენათ, ვიდრე სოციალდემოკრატებს! გარდა ამისა, ჩვენი პარტიის არსებითი ნიშანია პრინციპიალური ბრძოლა ყოველნაირ **ავტორიტეტის** წინააღმდეგ და თითო-ოროლა ადამიანთა წინამძღოლობის სრული უარ-ყოფა. მარა ეს ამნაირი შეხედულება მხოლოდ საწყენი კი არაა მუშებისათვის, მხოლოდ სიცრუე კი არაა ამ შემთხვევაში, არამედ სრულიად მოკლებულია **მეცნიერულ** ნიადაგსაც. ამნაირი წარმოდგენა მუშებზე ამტკიცებს ისტორიის განვითარების სრულ უვიცობას. ბავშვის ცოცხალ ფანტაზიას და განუვითარებელ, ნორჩ კეკუას, ქვეყანა სულ დევ-გმირებით, ალქაჯებით და კუდიანებით დასახლებული წარმოუდგენია, მას ყველგან რალცა ზესთა-ბუნებრივი, არა-ჩვეულებრივი ეჩვენება.

იმას გონია, რომ ყველგან საიღუმლო ძალები სუფევენ. ამნაირივე ბავშური, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, უსუსური შეხედულება აქვთ ყველა იმათ, ვისაც კაცობრიობის ისტორია რამდენიმე შესანიშნავ ბოროტ ან და ცუდ ადამიანის ნაყოფად მიაჩნიათ; ყოველ მოვლენაში, ყოველ მოძრაობაში ეს ვაჟბატონები ხედავენ ამა თუ იმ პიროვნების თვითნებობას, ქეიფს. ამ პიროვნებას ყოველნაირი ზესთა-ბუნებრივი თვისებებით ამკობენ, რომ მით უფრო კარგად შეუფარდონ იმ როლს, რომელსაც მას ასრულებინებენ. ასეთი თვალთა ხედვის ისარი ქონდა შეთვისებული ჩვენს ახალდროის ისტორიულ მწერლობას; ეს წარმოადგენდა (სამწუხაროდ ახლაც ბევრისთვის წარმოადგენს მეცნიერების ახალ ნაწარმოებთა მიუწოდლობის გამო) სახელოვანი თავადების, სარდლების და „გმირების“ *) სახელების ჩამოთვლას; ამას ზედურთავდენ ომის, ყოველნაირ უბედურების და შეთქმულობის ამბებს, ერთი სიტყვით დაბალი ხარისხის რომანი გამოდიოდა: ნახევარჯერ რაინდების და ყაჩაღების ამბავი იყო მოთხრობილი და ნახევარჯერ საბავშვო ზღაპარი. სამეცნიერო ისტორია, რომელიც დიდი ხანი არაა, რაც გაჩნდა და რომლის წარმომადგენელიც ინგლისელი ბოკლია, /კაცობრიობის განვითარებას ისე უყურებს, როგორც ბუნებისა და

*) აქ ამ სიტყვას კარლელის ფართო მნიშვნელობით ვმხარობ.

ადამიანთა ურთიერთობის აუცილებელ შედეგს. ისტორია, როგორც მეცნიერება, არ სცნობს თვითნებობას, არამედ აუცილებლობას, არც „ქეიფს“, არამედ სხვა და სხვაობას, არც ზესთაბუნებრივს და არაჩვეულებრივს; მას სწამს მხოლოდ ბუნებრივი და გეასწავლის, რომ ყველაფერი საყოველთაო კანონების შედეგიაო. როგორც ბნელაში მოლანდებული მოჩვენებანი ქრებიან მყისვე დილის მზის სხივებისაგან, ისე ძველები ანუ ისტორიული ზღაპრების ზესთა-ბუნებრივი სურათები ისპობა კრიტიკის შემწვობით; გმირების თაყვანისცემა ცრუ-მორწმუნოების ნაგავს უერთდება—**„დიდებული კაცები“ დამცირებულ იქნებიან და კაცობრიობა კი ამაღლდება.**

ისტორიის მსვლელობა წარმოადგენს ადამიანის მუდმივ ბრძოლას ბუნებასთან, განუწყვეტელ ბრძოლას არსებობისათვის, -პირვლად ის იბრძვის, რომ ბუნებისაგან დაძლეული არ იქნეს და—მერე, რომ ბუნება დაიმორჩილოს. ამ ასი ათას—წლოვანი ბრძოლის ნაყოფია ჩვენი თანამედროვე კულტურა.

მეგობრებო, თქვენ ყველას კარგათ მოგეხსენებათ, რომ მეცნიერებისაგან უარყოფილია ბიბლიის ისტორია ქვეყნის შექმნაზე. კაცი შემოქმედის ხელიდან სრული და უნაკლულო კი არ გამოსულა, და მხოლოდ შემდეგ-კი არ დაცემულა ისე, რომ ღმერთს ზესთა-ბუნებრივ არსებათა გაგზავნა დასჯირებოდეს, რომლებსაც სრული დაღუპვისაგან უნდა

დაეხსნათ არსება, „შექმნილი მსგავსად და ხატად ღვთისათ“. კაცობრიობაც მხოლოდ ხუთი ან ექვსი ათასი წელი როდი არსებობს. გეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ სისწორით დაგვანახვა, რომ დედამიწა ისე მაგარი, როგორც ახლაა, მილიონი წლებია რაც არსებობს (იმ ნივთიერების ზრდაზე, რომლისაგანაც მიწა შესდგება, ჩვენ ვერ ვილაპარაკებთ, რადგანაც ნივთიერებას არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული) და აღამიანიც ასი ათასი წელიწადია არსებობს დაახლოვებით სწორეთ იმ სახით, რა სახითაც ახლაა.

მილიარდ წლების წინეთ, მამონტის დროს, კაცმა (რამდენადაც შეგვიძლია ნაპოვნი ქვის იარაღის მიხედვით დავასკვნათ) ისეთ კულტურას მიახწია, რომელიც მას გაცილებით მაღლა აყენებს ცხოველზე და გვიმტკიცებს ურიცხვ წინა თაობათა შრომას. ახლანდელი სწრაფი წინ-მსვლელობის მიხედვით კი არ უნდა ვზომავდეთ პირველ ყოფილ პროგრესს. დღეს ჩვენ ყველა წინანდელ თაობათა მხრებზე გვაქვს ფეხი გამაგრებული, ვსარგებლობთ მათი ერთად მოგროვილი კულტურული ნაშრომით; დღეს პროგრესის მამოძრავებელი მიზეზები მეტათ გაძლიერებულია. პირველ-ყოფილ დროს კი სულ მცირე პროგრესი ათასი წლების საქმე იყო; ასეთი დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ სხვა და სხვა გვარ ამონათხარ იარაღების მიხედვით, რომელნიც ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ ხანებს ეკუთვნიან და

განსხვავებით-კი ნაკლებათ განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. პირველყოფილი ადამიანი მედიდურათ თავ-აწეული, ცაში ამაყად მაცქერალი არსება კი არ ყოფილა, რომელსაც შუბლზე ვითომც აღბეჭდილი ქონოდეს ყველა ქმნილებათა ბატონობის უფლება, როგორც ამას ძველდ აღთქმის ზღაპარი გადმოგვცემს. ადამიანს მისი გაჩენა — ჩამომავლობა გვერ უყენებს სხვა ცხოველებს. ადამიანმაც და უბრალო ცხოველმაც განვითარების ყველა საფეხურები გამოიარეს, უბრალო უჯრედიდან დაწყებული, მარა სხვა და სხვა ხელ-შემწყობ პირობების თვალთვლით ადამიანმა შესძლო თავის მონათესავე ცხოველებისათვის წინ გაესწრო. თუ რა ვეებერთელა დრო გავიდა, სანამ კაცი ისტორიულ საუკუნეს მიახწევდა, — ეს ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, მარა ამის სწორეთ გამოანგარიშება კი შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში ისტორიული ხანა შედარებით უფრო ნაკლებ დროს შეიცავს, ვიდრე ისტორიის პირველყოფილი დრო, ე. ი. ის ბნელი ხანა, როდესაც ადამიანს ჯერ კიდევ არ შეეძლო თავის არსებობის ღრმა კვალი დაეტოვებია, თავისი არსებობის ძველი შეექმნა. ისტორიული საუკუნე გაფურჩქნას იწყებს მას შემდეგ, როცა ადამიანი იჩენს ნიქს **საზოგადოების** დაარსებისას. სანამ ადამიანი განცალკევებით თავისთვის არსებობდა, ანდა სულ დიდი სანამ რიხეტილე ტომებს შექმნიდა, როგორც ეს ყველა ცხოველებშიაც არის, მანამ არავითარ ისტორიაზე არ

შეიძლებოდა ფიქრს. მისი ისტორია იმ დროიდან იწყება, როცა ის, **„საზოგადო პოლიტიკურ ცხოველად“** ხდება. **„ცალკე მდგარს** არ შეეძლო ცხოველებზე მალა და მდგარიყო, მხოლოდ **საზოგადოებაში**, თავის მსგავს ადამიანებთან ერთად შეეძლო ეს. მხოლოდ საზოგადოებაში კაცი გადაიქცა ადამიანად. მთელი პროგრესი, მთელი კულტურა საზოგადოებრივი საქმეა. რაც უფრო ფართოა საზოგადოებრივი წრე, პროგრესიც მით უფრო სწრაფია, კულტურა მით უფრო ძლიერდება. ჯერ ცალკე ადამიანთა განმარტოებული მდგომარეობა, მერე ტომის გაჩენა, ერის აღორძინება და ბოლოს მსოფლიო მოქალაქეობა— აი კაცობრიობის განვითარების მსვლელობა.

ზნეობის ნასახიც მხოლოდ საზოგადოებაშია ჩასახული. კაცი უნდა მიხვდეს, რომ მისთვის უფრო სახეიროა დაუკავშირდეს თავის მოყვასს, ვიდრე ეუმოს, ეჩუბოს მას, რის გამოც მუდამ შიშს, განსაცდელს უნდა მოელოდეს. ძირითადი საფუძველი ყოველივე ზნეობისა: მოექცე შენს მოყვასს იანე, როგორც შენა გსურს ის მოგექცესო, ეს ზნეობრივი შეხედულება **გაჭირვების** ნაყოფია, რომელმაც **სოლიდარული** ინტერესების თანხმობის შეგნება გამოიწვია ადამიანებში. რასაკვირველია, ეს თანხმობა თავდაპირველად შესაძლო იყო დამყარებულიყო დაახლოვებულ ადამიანების სულ ვიწრო წრეში და ფართოვდებოდა მხოლოდ დიდი ხნის სასტიკი გამოცდილების შემდეგ, ბოლოს-კი მიხწია იმ ხანამ-

დის, როდესაც შეიძლება მხოლოდ ხიშტების შემწვობით შეაჩერო თანხმობის შემათფერხებელი დაბრკოლებანი. წარმოდგენა **საყოველთაო საკაცობრიო თანხმობაზე** უმაღლესი წარმოდგენაა კულტურისა და ზნეობისა და სოციალიზმის მიზანიც სწორედ ის არის, რომ ეს სისრულით განახორციელოს.

მაშასადამე, კულტურა **საზოგადოებრივი საქმეა**. ყოველ ადამიანს, რომელიც-კი როდისმე ცხოვრობდა, არსებობისათვის ბრძოლაში უნდა გაეტარებია თავისი სიცოცხლე და ამ ბრძოლით მან ხელი შეუწყო კაცობრიობას გაბატონებულიყო სხვა ცხოველებზე და ბუნებაზე. თვითეულ კაცს ცალცალკე შეაქვს თავისი წვლილი კულტურულ შენაძენთა სალაროში. იმ „დიდებულ კაცებსაც“, რომლების ამბებს ისტორიული გადმოცემა მოგვითხრობს, თუ კი მართლა ისინი არსებობდნენ, თავისი წვლილი შექონდათ, შესაძლებელია ცოტა მეტი, ვიდრე მათ უცნობ თანამოძმეთ,—ყოველ შემთხვევაში ამას ხელს უწყობდა ისევ მხოლოდ **საზოგადოება**. ისტორიული გადმოცემა აფასებს ხალხს რამდენიმე დიდებული კაცის არა-ჩვეულებრივი მოქმედებით, კრიტიკულ ისტორიას კი პირიქით, ეგრეთ წოდებული დიდებული კაცები ხალხის ნაყოფათ მიიჩნია. მეცნიერება არ იბრალებს არც პოლიტიკურ და არც საარწმუნოებრივ იდეალებს. როგორც ქრისტიანებმა კერპები დაღწეს და ამით შეშინებულ ხალხს აჩვენეს რომ დიდებული ღმერთი, რომ-

ლისაც იმათ ისე ეშინოდათ, მხოლოდ დამპალი ხეა, ან დანგრეული ქვებია, და სხვა არაფერი, ისე მეცნიერებამ ჩამოყარა ძირს „დიდი კაცები“ და გვიჩვენეს, რომ ხალხი მათში მხოლოდ თავის საკუთარ ოცნებას სცემდა თავყვანს. ავიღოთ მაგალითად, შეიძლება, უფრო ძლიერი ისტორიული პირი: ნაპალეონი, დიახ ნაპალეონი! რა ლეგენდები არ შეუთხზავთ მათ! რა ზეკაცურ საქმეებს არ აწერენ მას! იყოს ნება თქვენი—მარა ისტორიულმა კრიტიკამ კი ჩამოგლიჯა მას თავიდან გასხვივსებული გვირგვინი და ეს არა-ჩვეულებრივი კაცი უბრალო ავანტიურისტის დონეზე ჩამოაქვეითა, რომელმაც თავისი გაიძვერული ხრიკების შემწეობით ისე მარჯვეთ ისარგებლა რევოლიუციის მარცხით, რომ გარემოებათა მეოხებით დიდი სახელი მოიხვეჭა: მის სამხედრო და საკანონმდებლო ღვაწლს ნაქურდალი შუქი მოაკლდა და დამტკიცდა, რომ ყოველნაირსარბიელზე თავისი სახელი და დიდების მოპოვებას საფრანგეთის რევოლიუციას უნდა უმადლოდეს,—და, მაშასადამე, არამც და არამც რომელსამე დიდებულ კაცს, არამედ **ადამიანთა დიდ კრებულს, საზოგადოებას***) ისტორიის გაკვეთილი და სალი, სწორე

*) ადმინისტრაციულ და სამხედრო ხელაწინების სარბიელზე და ავრეტევე კანონდებლობისასე, ნაპალეონი, როგორც ეს ენლა დამტკიცებულია, თავს იმკობდა ნაციონალური კრების და კონვენტის ფრთებით.

მსჯელობა იმას გვიჩვენებს, რომ ადამიანები ვერ გახდებიან თავისუფლები მანამდის, სანამ თავიდან არ ძლიშობრებენ ყოველნაირ კრუ-მოარწმუნეობას და განსაკუთრებით კი პიროვნების თავყვანისცემას, (ეს ყველა კერძოთავყვანისცემლობაზე უფრო საშიშარია, რადგანაც ეს კერპები ჩვენთან უფრო ახლო არიან და ამიტომ უფრო სახიფათოც, ვიდრე ისინი, ვინც კაში ეგულვებათ). აი ეს ჭეშმარიტება ქონდა გათვალისწინებული პარიჟის კომუნას, როცა ვანდომის კოლონა დაანგრია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში ყველა ასეთი კერპები, ცოცხლებიც და მკვდრებიც, როგორც ხორცისა და ძვლებისაგან შემდგარნი, ისე რკინისა და მარმარილოსაგან ნაკეთებნი, ნაკუწ-ნაკუწად იქნებიან დამსხვრეული.

მეცნიერული ისტორია ყველაფერზე უფრო საფუძვლიანი მასწავლებელია დემოკრატიისა, რადგანაც სინათლეზე გამოაქვს არისტოკრატიის ყველა პრეტენზიები მთელი მათი არარაობით. ის ხელს უწყობს გმირებისა და კლოუნების გაქრობას და უფლებას ანიჭებს **ადამიანს, ყველას**. რამდენიმე რჩეულთა ზესთა-ბუნებრივ ძალას კი არ უნდა მივაწეროთ კულტურის აღორძინება—არა, კაცობრიობა ამაღლდა, განვითარდა, მშვიდი ოკეანის კორალების მზგავსათ, მილიონ და მილიარდ ადამიანთა საერთო **მუშაობის** წყალობით. მოვიყვანოთ კიდევ მეორე შედარება: მეგობრებო, გაგეგონებ წ , რომ არსებო-

ბენ ინფუზორიები, ესენი ისე პაწაწკინ ტელეები არიან, რომ თუ არ გამადიდებელ შუშით, ისე ვერ დანახავთ, მარა მათ თავიანთი საერთო მუშაობით სრულიათ შესცვალეს დედა-მიწის ზედა-პირი. ისიც კარგად გეცოდინებათ, რომ **ბერლინი** რამოდენიმეთ დამყარებულია ამნაირ ინფუზორიებისაგან გაკეთებულ მიწაზე. ამ ინფუზორების მზგავსად, რომელთაც ასი ათასი წლობით უნდა ეშრომათ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო „ახალი იმპერატორის სატახტო ქალაქის“ ძვირფასი შენობების საძირკვლები ჩაყრილიყო, — სწორეთ ასე, ამნაირათვე ასი ათასი წლობით უნდა ეშრომა კაცობრიობას, რომ შეექმნათანამედროვე კულტურის საძირკველი — ჩვენ ამა თუ იმ ადამიანს კი არ ავუწვევივართ დღევანდელ მდგომარეობამდის — არა, ეს ყველას საერთო მუშაობის შედეგია; წარმოვიდგინოთ, რომ ყველა ეს ზესთაბუნებრივი კაცები არ ყოფილიყვენ ქვეყანაზე, ჩვენ მაინც ~~იმას იქით, სადაც გდგავართ, არ ვიდგომებოდით.~~

ყველაფერ ამას ჩვენი მოწინააღმდეგენიც აღიარებენ შეუგნებლათ. და როცა სათაყვანებელი ადამიანები ველარ ემსახურებიან მათ, როგორც რიგია, ტალახში ამოაყოფინებენ ხოლმე თავს, სწორედ ისე, როგორც ველურები ამსხვრევენ ხოლმე თავიანთ კერპებს, როცა ესენი სასურველ სასწაულს არ ახდენენ. **ბონაპარტე**, ყალბი ძმის-წული თავისი ქურდი ბიძისა, გუშინდელი დიდებული „სახელმწიფო კაცი“

დღეს უკვე თავის თაყვანის მცემლებისაგან შეძლებელი მტვერში გათელილი აგდია, და მის მაგიერ კერპის ალავს იჭერს **ბისმარკი**. დიდიხნით? ეს ჩვენ არ ვიცით: მხოლოდ ის კი ვიცით, რომ ეს კერპიც დაეცემა და დაწყევლილი შეიქნება უფრო ძლიერ იმათგან, ვინც ახლა მონურად გუნდრუქს უკმევს. **ჩვენი** მსჯელობა კი მაშინ უფრო სამართლიანიც და უფრო საფუძვლიანიც იქნება, რადგანაც იმედის გაცრუებას არ ვიგრძნობთ და მისი დაცემის შემდეგაც ჩვენი შეხედულება სრულიად, ერთი იოტითაც არ გამოიცვლება.

მეგობრებო! მაპატივეთ, რომ უმთავრეს საგანს გადავცდი! მე მხოლოდ მინდოდა ამეხსნა, თუ რა ყალბ და უსაფუძვლო ნიადაგზეა დამყარებული ის შეხედულება, ვითომ კაცობრიობის განვითარება რამდენიმე—ბოროტი ან ცუდი—ადამიანის შრომა იყოს. ყოკელივე, რაც წარსულს შეეხება—აწმყოსაც შეეხება. იმის მტკიცება, ვითომ ახლანდელი სოციალური მოძრაობა ხელოვნურათ გამოწვეული იყოს რამდენიმე თვით-ნება, ჟინიან და სასჯელის ღირს ადამიანებისაგან, სრულიად მოკლებულია მეცნიერულ ნიადაგს; ამნაირი მსჯელობა შეუძლია მხოლოდ ბავშვს, უმეცარს ანუ პოლიციელს, და მას, რასაკვირველია, დაიჯერებენ მხოლოდ ბავშვები, უმეცრები და ის, ვისაც პოლიციური სული უდგია!

ჩვენი ლტოლვილება-კი „რევოლიუციონური

ლტოლვილებაა“! რევოლიუცია! საშიშარი სურათია ყველა ორივე სქესის დიაცებისათვის! დიახ, ჩვენ რევოლიუციონერები ვართ! ჩვენ გვინდა .თავიდან ფეხებამდის განვაახლოთ, გადავაკეთოთ თანამდროვე-საზოგედოება. მარა აბა, პირდაპირ შევხედოთ, თვალი გაფუსწოროთ ამ საშიშ სურათს და შიშიც გაიფანტება. ჩვენ რევოლიუციაში ვცხოვრობთ და რევოლიუციის წყალობით ვცოცხლობთ! **მთელი კაცობრიობის ისტორია მუდმივი რევოლიუციაა,**— ეს გაჩენა, ზრდა, ცვლილება, პროგრესი მუდმივი გადასხვაფერებაა, რადგანაც ის მუდამ სიცოცხლეს წარმოშობს. სანამ კაცი ცოცხლობს, ის რევოლიუციონერია იმით, რომ თავის არსებობით არაა კმაყოფილი, კმაყოფილი არაა იმით, რაც აქვს, მუდამ მიილტვის უმაღლესისაკენ—სწორედ ამაში მდგომარეობს მისი ადამიანური არსებობა. როცა კაცი, კაცობრიობა თავს ანებებს რევოლიუციონერობას, მაშინ კაცი, კაცობრიობა თავს ანებებს **არსებობას.** რევოლიუციაში, მოძრაობაში—**სიცოცხლეა,** თუ არაა რევოლიუცია,—მუყდროება სიკვდილია. მარა სიტყვას „რევოლიუცია“-ს კიდევ სხვა უფრო ვიწრო მნიშვნელობა აქვს. ამ სიტყვით ესმით „ძალდატანებით“ კავშირის გაწყვეტა მთელ არსებულ სახელმწიფო და საზოგადო ფორმებთან. ეს ასეა, მარა ვისგან და რისგან არის გამოწვეული ეს ძალდატანებით კავშირის გაწყვეტა? ვინაა პასუხის მგებელი ყველა პირვანდელი რევოლიუციისა? ისი-

ნი ხომ არ არიან, რომელნიც ცდილობდენ, კაცობრიობის განვითარების კანონის თანახმად, ახალ შინაარსისათვის ახალი ფორმა მიეცათ, ახალ-აზრებისათვის ახალი გამოთქმა,—არა, დამნაშავე ისინი არიან, რომელნიც თავის სიბეცით ან თავმოყვარეობით ცდილობდენ კაცობრიობის განვითარების მსვლელობას ხელნ შეუშალონ. როგორც ნიაღვარი—(მომყავს ეს, თუმცა ხშირად ხმარებული, მარა ზედ-გამოჭრილი შედარება) წყნარად მიდის, სანამ გზაზე არაფერი დაბრკოლება ხელს არ უშლის, მარა თუ წინ კლდეები შეხვდა, შენი მტერი, მყისვე აბობოქრებულ წყალნავარდათ იქცევა, ან-და ნაპირს გადასცდება და გარშემო ყველაფერს ანადგურებს—სწორედ ასეა მსოფლიო ისტორიის მსვლელობაც: მხოლოდ იქ, სადაც დაბრკოლება ელოდება წინ, ჩნდება ჩანჩქერი, წყალ-ნავარდი, წარღვნა,—აჯანყება, ამბოხება, რევოლიუცია,—მაშასადამე, ყოველი რევოლიუცია ამ სიტყვის ასეთი-ვიწრო მნიშვნელობით რომელზედაც კი ისტორია მოგვითხრობს, გამოწვეული იყო არა ეგრეთ წოდებულ რევოლიუციონერებისაგან, არამედ იმათგან, ვინც განვითარების ბუნებრივ მსვლელობას გზას უღობავდენ: **ამიტომაც ყველა რევოლიუციას** თავ-დასხმა კი არა, თავის დაცვა აქვს მიზნად. თავის დაცვა ქონდა მიზნად **გლეხების ომს**—ეს ომი მოხდა კაცობრიობის წმიდა უფლებათა დასაცავად, რომელთაც ფეოდალურ სახელმწიფო არა სცნობდა. თავის დაცვა

იყო **ბასტილის აღება**—ეს აუცილებელი შეიქნა სპასხლის ჯარში მომხდარ მღელვარების გამო; თავის დაცვა იყო **ტიულერის აღება** 10 მარიაშობისთვის 1791 წ. და **ტერრორი**—ყველა ეს აუცილებელი იყო საფრანგეთის დასაცავათ შეგნით შეთქმულებისაგან და გარეთ მტრის დაცემისაგან; **პოლონეთის რევოლიუცია** თავის დაცვა იყო, რომ გარყვნილ ბურჟუაზიულ სამეფოს გავლენისაგან თავი დაეხწიათ; **მარტის რევოლიუცია** თავს იცავდა ხალხის მტერ კამარილის ხრიკებისაგან; თავის დაცვას წარმოადგენდა **იენისის ომიც**, რომელიც ბურჟუაზიამ მოახვია თავზე პროლეტარიატს, რომ რაიმე ფერათ სოციალიზმი აღმოეფხვრა; თავის დასაცველათ იყო საჭირო **სექტემბრის რევოლიუცია**, რომ საფრანგეთს თავიდან აეშორებია სამარცხვინო სახელმწიფო ცვლილება სედანთან მომხდარ ამბის შემდეგ; ბოლოს, თავის-დაცვამ გამოიწვია **კომმუნა**, ეს შესაზარი ტრაგედია, რომ საფრანგეთის რესპუბლიკა დაღუპვისაგან გადაერჩინა იმის შემდეგ, რაც ერთი წლის განმავლობაში მთავრობამ ორჯელ უღალატა საფრანგეთს. მომავალშიაც რევოლიუცია მხოლოდ თავის დასაცავი იქნება. ჩვენ რევოლიუციონერები ვართ, მარა რევოლიუციონერი მოძრაობა, რომელმაც და რომლისათვისაც ჩვენ მოვქმედობთ, **მხოლოდ იმ შემთხვევაში** იქნება ძალდატანებითი მოქმედება და გამოიწვევს სისხლის

ღერას, როცა ამას ჩვენი მტრები (მთავრობა და ბურჟუაზია) მოინდომებენ.

მეგობრებო! მე ვცდილობდი დამემტკიცებია საზოგადოთ, რომ ჩვენი მოძრაობა ხელოვნურათ-კი არ არის გამოწვეული, არამედ ბუნებრივად წარმოშობილია გარემოებათაგან, ამიტომ არც შეიძლება შეჩერდეს, სანამ მოსპობილი არ იქნება მისი მიზეზები. ახლა კი მე ვფიქრობ ცალ-ცალკე გავარჩიო ყველა უმთავრესი საყვედურები, პასუხები, და ცილის წამებანი, რომლებსაც ასე სიჩქარით გვაყრის ჩვენი მოწინააღმდეგე პრესა და რომლებითაც ცდილობს რამოდენიმეთ ჩვენი პარტიის ღირსება დაამციროს საზოგადოების თვალში, რამდენიმეთ კიდევ— ჩვენი პარტია გაყოს.

თავდა პირველათ ცდილობენ სიატემატურათ ცილი დასწამონ ეგრეთ წოდებულ „ბელადებს“, რომ სხვა ამხანაგების თვალში ნდობა დაუკარგონ. „ბელადები-ო“, ამბობენ ისინი— „მუშების ოფლით იკვებებიანო“, „ისინი მუშების ხარჯზე განცხრომა-სიამოვნებაში ატარებენ დროსო“, „თავის პოლიტიკურ მოღვაწეობას ისინი, როგორც შემოსაელიან საქმეს, ისე უყურებენო“ და სხვა და სხვა; ამნაირ ლათაიებს ყოველ დღე შევხვდებით ხოლმე ჩვენს პატარა და ვეებერთელა ბურჟუაზიულ ოფიციალურ გაზეთებში. მე, რასაკვირველია, კარგათ ვიცი, ვინც სუქდება მუშის ოფლით, ვინც მას სისხლსა წოვს, ვინც ბუქნას თამაშობს მის ზურგზე—

ესენი **ბატონი ბურჟუები** ბრძანდებიან, გამდიდრებული ბატონი თავიანთ დაქირავებულ მონების ნაშრომით, რომელთაც შრომაში სრულ სამუშაო ქირას არ აძლევენ; რაც შეეხება მაღალ საფეხურზე მდგომ ჩინოვნიკებს) დაბალი ჩინოვნიკები ხომ პროლეტარიატს ეკუთვნიან და მათი ინტერესია მასთან სწიოს ჰაპანი (გეკითხებით: ვინ აძლევს მათ ჯამაგირს? განა გადასახადებიდან არ იღებენ მას? გადასახადებს კი განა ვინ იხდის? რასაკვირველია, მუშები; მრეწველობას და სოფლის მუშები იხდიან **ყველა** გადასახადს, ასე გაშინჯეთ იმასაც კი, რომელსაც პირდაპირი გადასახადის სახით როდი კრეფენ. ნეტა ეს ვაჟბატონები თავის თავზე დაიხედავდნენ! თურმე ნუ იტყვიან ჩვენ ვცხოვრობთ „მუშათა ოფლით!“ ნამდვილად-კი ბატონი ბურჟუები თვითონ ისე გულმოდგინებით ეწევიან ამ საქმეს, რომ ჩვენთვის აღარაფერი რჩება. ან კი რას მიიღებ მუშებისაგან? თანამედროვე ექსპლუატაციის სისტემა იმდენსაც-კი არ აძლევს მას, რომ ოდნავ მაინც ადამიანურათ იცხოვროს.

ეგრეთ წოდებული ბელადები რომ მართლა იმ ჯურის ადამიანებს ეკუთვნოდნენ, რომლითაც არავითარი რწმენა არ გააჩნიათ და მხოლოდ ანგარებით მოქმედებენ, მაშინ, ისინი ხომ იქ მიმართავდნენ, სადაც ჯერ არს: **იქ, სადაც შეიძლება მიიღო რამე: ბ. ბურჟუებისა და მთავრობის ფრთებ ქვეშ შეაფარებდნენ თავს, რომელთაც უმოწყო-**

ლოდ აქვთ ფულები. ვისაც თავის თავის გაყიდვაუნდა, იმას მიყიდოს თავს, ვინც მეტ ფულს მისცემს. მე არ მინდა გულწრფელი რწმენა დაფურღვიო ამ ჟურნალისტებს იმის შესახებ, რაზედაც ისინი ლაპარაკობენ, თუმცა თავიანთი ხაზინების მინდობილებით გეთათხავენ ჩვენ, მარა, ყოველთვის ბედნიერ შემთხვევით სარგებლობენ და კმსახურებიან იმისთანა საქმეს, რომელსაც ყველაფერი ბევრი მოეძებნება, მთელი ქვეყნის ფულებიც კი, და რომელსაც შეუძლია მათი შრომა კარგათ დააჯილდოვოს, ძალიან კარგათაც, და თუ კიდევ თვალსაჩინო ნიჭიც ექნებათ — სანაქებოთაც. მილიონები პრუსიის ბექვდითი სიტყვის ფონდისა, ძალიან კარგი შემოსავლიანი ადგილები სახელმწიფოსა და საზოგადოებაში — ყოველივე ეს ჩვენთვის ხომ არ არის!

ნივთიერ სარგებლობას რომ სრულიად თავი დავანებოთ, განა სხვა-კი „რა უპირატესობა“ აქვთ „ბელადებს“? მხოლოდ ის, რომ წინა რაზმებში იბრძოდნენ, მოწინააღმდეგეებს წინ დაუდგნენ სანიშნებელათ და მთავრობას — სადევნელათ. ყველაზე ცუდი კიდევ ის არის, რომ ისინი მოკლებული არიან წესიერ შემოსავალს და გარიყული რჩებიან ცხოვრების ჩვეულებრივ გზიდან.

თავის თავათ ბრძოლას, როგორც უპატიოსნო იარაღითაც უნდა იყოს ჩვენს წინააღმდეგ მომართული, თავისი სულის-კვეთება და თავისი სიმშვენიერე აქვს. მარა ჩვენ ხომ არა მხოლოდ პოლიტი-

კურათ, არამედ ზნეობრივათა ცკანონს გარეშე ვდგავართ. ჩვენზე ამბობენ: „ერეტიკებს“ არაფერს ენდოთ, არც არაფერი დაუჯეროთო. ჩვენი ხვედრია: დარღვეული, ხშირად დაფუშული ოჯახური ბედნიერება, არსებობის უზრუნველყოფის უქონლობა, ზრუნვა ლუკმა პურზე, რაც ხშირად უკიდურეს გაჭირვებამდე ახწევს—განა ეს სახარბიელო ხვედრია?

ვინც თავის თავს ყიდის, ამას იმისათვის სჩადის, რომ შეეძლოს ფუფუნებაში იცხოვროს და არა იმისთვის, რომ გაჭირვებაში იყოს, არა იმისათვის, რომ მუდამ შიოდეს? ჩვენს პარტიაში არ ვიცი არც ერთი ეგრეთ წოდებული „ბელადი“, რომელიც პარტიაში ყოფნის მეოხებით ნივთიერათ არ დაჩაგრულიყოს. აი, ეს არის სწორედ ნამდვილი დასამტკიცებელი საბუთი პატიოსნების ან თავ-განწირულების. რასაკვირველია, ჩვენი მოწინააღმდეგეებისათვის ამნაირი თავგანწირულება მიუწოდამელი რამეა, ისინი ვერ გაიგებენ, ვერ მიხვდებიან, რომ ესე-ბობს პრინციპები და იდეალები, რომელნიც ყველას, ვინც-კი მათგან აფრთოვანდება, ყოველთვის შიშს და გაჭირვებას ავიწყებინებს. ამ ვაჟბატონებმა ერთათ-ერთ გზის-მაჩვენებელ ვარსკვლავად პრაქტიკაში თავისი ეგოიზმი, თავ-მოყვარეობა გაიხადეს, თეორიაში კი ქვაკუთხედათ დაისახეს თავიანთი პოლიტიკურ-ეკონომიური მოძღვრება. თავმომწონეობა, მეტოქეობა ცხოვრებაში ძლიერი ბერკეტია, მარა

ათასჯერ უფრო ძლიერი „ბერკეტი“ ადამიანის მოვალეობის გრძნობა და უფლების შეგნებაა.

მეგობრებო! მე შეეჩერდები ახლა იმ სხვა და სხვაგვარ ბრალდებაზე, რომლებსაც, ორნაირი მიზნით გვდებენ ჩვენ, სოც-დემოკრატებს, ჯერ ერთი იმ მიზნით, რომ ჩვენს წინააღმდეგ საზოგადოება აამხედრონ; მეორეც, იმ მიზნით, რომ შეარყიონ ჩვენი პარტიის სულ-მოკლე და პრინციპებში სუსტი წევრები. თუ რამდენათ შეისრულეს პირველი მიზანი, ამაზე ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით, რაც შეეხება მეორეს, თუმცა მათმა ცდამ უბრალოთ ჩაიარა, მარა მაინც არ შეიძლება უარყვოთ ის, რომ ჩვენს ამხანაგებს, ადგილობრივი ბურჟუაზიულ-გაზეთების ზეგავლენით ხანდიხ-ხან ერთი წუთით გზა აბნევიათ ხოლმე. მე ბევრი შემთხვევა მქონდა დავრწმუნებულეყავი ამაში, როცა ჩვენს პარტიულ გაზეთში ვთანამშრომლობდი. გავშინჯოთ ახლა რიგ-რიგობით ყველა უმთავრესი ბრალდებანი, რომლებიც-კი ჩვენ წინააღმდეგ წამოუყენებიათ ხოლმე.

პირველათ (ამით ვიწყებ, რადგანაც ჩვენი მოწინააღმდეგეებისთვისაც პირველი ადგილი ამას უჭირავს) ის ბრალდება, რომ **ჩვენ გვანდა საკუთრების მოსპობა.**

ღიახ, ჩემო მეგობრებო, ამაზე უფრო სულელური სიცრუე არასოდეს არ მოუგონიათ! რა არის საკუთრება? გონებისა და მეცნიერების თანხმან ეკონომიური მხრივ ღირებულება წარმოსდგება მხოლოდ ერთი წყაროდან. ეს წყაროა **შრომა**. მხოლოდ

შრომა ქმნის ეკონომიურ ღირებულებას. კაპიტალი, რომელსაც ბურჟუაზიისაგან დაქირავებული პოლიტიკოს-ეკონომისტები ღირებულების მეორე ფაქტორათ ასახელებენ, თავის თავათ მხოლოდ შრომის ნაყოფია, მარა რადგანაც შრომა ქმნის ღირებულებას, ამიტომ ამ შრომას უფლებაც აქვს თვისმიერ შექმნილ ღირებულებაზე, ე. ი. მას **საკუთრების უფლება** აქვს. ეს საკუთრების უფლება დედააზრია სოციალდემოკრატიისა: **ყოველმა მუშამ უნდა მიიღოს თავისი შრომის სრული ნაყოფი**, — სხვანაირათ რომ ვთქვათ: ყოველ მუშას აქვს საკუთრების უფლება თავისი შრომის სრულ ნაყოფზე. დეე ჩემი საკუთრება ჩემივე საკუთარი შრომის ნაყოფი იყოს! იმ მოსაზრებიდან, რომ ყველას უფლება აქვს თავის შრომის ნაყოფი დაისაკუთროსო, გამომდინარეობს მეორე მოსაზრება: არავის უფლება არ აქვს **სხვისი** შრომის ნაყოფი მიისაკუთროსო; სოციალიზმი ცდილობს მესაკუთრედ გახადოს ყველა, ვინც-კი მუშაობს და მშვიერი ამყოფოს (მე არ ვამბობ: შიმშილით მოკვლას მეთქი) ის, ვისაც შეუძლია მუშაობა და არ მუშაობს. მე არა მგონია, რომ ჩვენზე უფრო თავგამოდებით სხვა ვინმე იცავდეს საკუთრებას. ამ ჟამათაც-კი, როცა სხვა და სხვა გვარ სამკაულებს და ზიზილოპილიებს მეტი ფასი აქვს, ვიდრე შრომას, და როცა ადამიანის ნივთიერი მდგომარეობა მით უფრო ცუდია, რაც უფრო მცირეა მისი შრომის ნაყოფიერება და რაც უფრო

სასარგებლოა მისი მუშაობა, ! ჰო, ამ ჟამათაც-კი ხალხის დიდი უმრავლესობა მუშაობს, მე ვამბობ, მართლა მუშაობს, არა სიამოვნების გულისათვის (ანდა „სულიერად“, როგორც ამას სხვათა შორის თავისთვის ხუმრობით ამბობენ ხოლმე ბატონი ბურჟუები),—მაშასადამე ახლაც, ამ ჟამათაც ჩვენი შეხედულების თანახმად, ხალხის დიდი უმრავლესობა მესაკუთრეებისაგან უნდა შესდგებოდეს. მარა გაბატონებულ კლასის შეხედულებით-კი, ჩვენ მოწინააღმდეგეთა შეხედულებით, როგორ უნდა იყოს?

მხოლოდ უმცირესობა უნდა ფლობდეს საკუთრებას; საკუთრება არის მონოპოლია ერთი კლასის, რომელიც წარმოადგენს სულ მცირე ნაწილს მცხოვრებლებისას, დიდმა უმრავლესობამ-კი უნდა უარ ჰყოს თავისათვის საკუთრება და შექმნას იგი უმცირესობისათვის. აი სწორედ ამიტომ ვართ ამხედრებული ბურჟუაზიის წინააღმდეგ: ის ნებას არ აძლევს მუშას საკუთრება ჰქონდეს, ის პარავს მას საკუთრებას, რომელიც მას ეკუთნის უფლებით. სწორეთ გაიგეთ ჩემი აზრი! მე არ მსურს ყოველ ბურჟუას კერძოთ ქურდის დაღი დავასვა. საზოგადოთ, ჩვენ **სისტემასთან** გვაქვს საქმე და არა **კერძო პირებთან**,—ასე ჩვენი მტრები იქცევიან: ჩვენს სისტემას რომ კრიტიკას ვერ უბედავენ, ცდილობენ გააშავონ კერძო პირები, ეს ხომ სწორედ იმის ნიშანია, რომ მათ არა სწამთ თავისი საქმის სამართლიანობა და ძალა. მე არ ვლაპარაკობ კერ-

ძოთ რომელიმე ბურჟუაზე, მე სახეშიაც არ მაქვს **პირადათ** მათ მოვთხოვო პასუხის მგებლობა თანა! მედროვე საზოგადოებაში არსებულ ბოროტებისათვის. ჩვენი შეხედულება ეკონომიურ და ისტორიულ განვითარებაზე თავიდანვე წინააღმდეგია ამის...

ბურჟუაზიული იყანა ბუნების კანონის აუცილებლობით ფეოდალური ქვეყნიდან წარმოიშვა, ისე როგორც ფეოდალური ქვეყანა თავის მხრივ ძველ ქვეყნიდან.

ჩემ ისტორიას ვუცქერით ბუნებრივ განვითარების თვლით და არა შემთხვევების თვლით. ჩვენ ვიცით, რომ ყოველივე მოვლენას თავისი მიზეზი უნდა ჰქონდეს, თავის გასამართლებელი საბუთი, და მხოლოდ ცხად უმეცრებას შეუძლია დაინახოს მხოლოდ მოვლენაში „ბოროტისა“ ან „კეთილის“ თვითნებობა. ჩვენ ვერ გავბედავთ ვთქვათ: კაცობრიობა დღემდის უსწორ-მასწორი გზით მიდიოდაო; მხოლოდ ჩვენ ვუჩვენებთ მას ერთად-ერთ სწორე გზას და ვინც ჩვენსავით არ ფიქრობს, ის ტუტუცი ანუ ოხერიაო! ასეთი ენით მხოლოდ ბალები ან და შარლატნები ლაპარაკობენ. მეცნიერება მოვლენებში შეცდომას არ პოვებს. ის მხოლოდ იმაში ხედავს შეცდომას, თუ ვის როგორც **ესმის და გავება** მოვლენა. თანამედროვე წარმოება ბუნებრივად წარმოიშვა პირვანდელი წარმოების სისტემიდან; ეს **უფრო მაღალი** წარმოების სისტემას წარმოადგენს, ვიდრე პირვანდელი სისტემებია იყო, და ამიტომ

სრული გასამართლებელი საბუთი აქვს, მარა ახლა-კი მის ადგილზე ჩნდება წარმოების ახალი სისტემა— სოციალისტური, რომელსაც მან, რასაკვირელია, ადგილი უნდა დაუთმოს სწორეთ ისე, როგორც მას დაუთმო ადგილი საშეალო საუკუნისა და წვრილ ბურჟუაზიულმა წარმოებამ.

მაშასადამე, ჩვენ საზოგადოთ საკუთრების წინააღმდეგ კი არა ვართ ამხედრებული, არამედ ჩვენ ვეწინააღმდეგებით საკუთრების დღევანდელ ფორმას:)ე. ი. ისეთ საკუთრებას, რომელსაც სხვების ყვლეფით, ეკსპლუატაციით იძენენ, და რომლის შემქნელნიც თვითონ ყოველ საკუთრებას მოკლებული არიან.

გავზინჯოთ მოკლეთ, თუ როგორ ჩნდება ჩვენს დროში საკუთრება. „შრომაა წყარო ყოველივე სიმდიდრისა“, ეს ერთიანათ მიღებულია სამეცნიერო პოლიტიკურ-ეკონომიის მიერ. აქედან სჩანს, რომ არაგის აფელება არა აქვს ღირებულებაზე, თუ ეს ღირებულება მისი საკუთარი შრომის ნაყოფი ანდა ნაყოფის სამაგიერო არაო. მაგრამ უკვე დამტკიცებულია, რომ ყველა ადამიანის სამუშაო ძალა და საწარმოვო ნიჭი დაახლოვებით თანასწორია: ერთი ცოტა მეტს მუშაობს, მეორე ცოტა ნაკლებს, მარა საშუალო რიცხვით კი ეს მეტ-ნაკლებობა თანასწორდება.

აქედან ისიც გამოდის, რომ ყველა ადამიანთა შრომის ნაყოფი, ერთნაირი საწარმოვო იარაღის

ხმარების დროს, (რასაც, რასაკვირველია, ყოველ-
თვის ადგილი აქვს ერთ და იმავე ხალხში) დაახლო-
ვებით ერთი და იგივეა, და, მაშასადამე, თვითეულ
კაცს რომ თავის შრომის ნაყოფი მიეღო, იმ შემ-
თხვევაში ყველას დაახლოვებით ერთნაირი საკუ-
თრება ექნებოდა. მარა, როგორც იცით, ნამდვი-
ლად ეს ასე როდია, პირიქით სრული უთანასწორობა
სუფევს და მშვენიერი შემთხვევა გაქვთ მიხვდეთ, რო-
გორ წარმოებს საზოგადოებრივი უთანასწორობა
ყველა თქვენთაგანი იცნობს რომელიმე მექარხნეს
და იცის, როგორ მდიდრდებოდა ის. ავიღოთ მაგ.
ბატონი ხემნიცელი ციმერმანი, ნამდვილი სამაგა-
ლითა ბურჟუა, რომლის სახელიც თქვენ უსათუოთ
გაგეგონებათ (კრიმპიტჩაუში მე ერთ მექარხნესაც
არ ვიცნობ); ოცი თუ ოცდა ათი წლის წინეთ ცი-
მერმანი მოვიდა ხემნიცში ისეთი ლარიბ-ლატაკი,
როგორიცაა ულარიბესი ჩვენგანი; შეაქუჩა პატარა კა-
პიტალი; მაშინ სხვილი მრეწველობა ჯერ კიდევ
არ იყო ისე განვითარებული, კაპიტალიც ნაკლებათ
იყო მოგროვილი თითო-ოროლა კაცის ხელში; ამი-
ტომ შესაძლებელი იყო ასი ტალერით იმნაირი საქმის
დაწყება, რომელსაც ახლა ათასობით დაჰირდება.
ციმერმანს „ბედმა გაუღიმა“, ე. ი. მას ბევრი
საქმეები შეუკვეთეს. ამ საქმეებს მისი მოქირავე მუ-
შები აკეთებდნენ. მართალია მცირე ნაწილს თვი-
თონ ისიც აკეთებდა, მარა თითო მუშაზე მეტს-კი

ვერ გააკეთებდა, რადგანაც საზოგადოთ ცნობილია (ამიტომაც ეს მაგალითი საუცხოვოა), რომ ბატონი ციმერმანის ნიჭი არაფერ შემთხვევაში საშუალო ნიჭზე მაღლა არა სდგას.

ამნაირათ ბატონ ციმერმანს პირველათ თორმეტი მუშა ყავდა, მერე ასი, ბოლოს ათასზე მეტი და ახლა კი ციმერმანი მილიონერია, მაშასადამე, ზორბა მესაკუთრეა, მაშინ როდესაც მისი მუშები სრულიათ არაფრის მქონე პროლეტარებს წარმოადგენენ.

რათ არის ასეთი განსხვავება? მუშაობის ღირსებით ამის ახსნა შეუძლებელია, რადგანაც ციმერმანის პირადი მუშაობა ღირსებით საშუალოა. ის არ მუშაობდა არც უკეთესათ და არც უფრო ბევრს, ვიდრე მისი მუშების უმრავლესობა. და ის მაინც მილიონერი გახდა, ისინი-კი პროლეტარებად დარჩენ. მისი საკუთარი შრომის შემოსავალი მას მილიონერად ვერ გახდიდა; შრომას რომ მის ქარხანაში იმოდენა შემოსავალი ქონოდა, რომ ყოველ მუშას შესძლებოდა მილიონერი გამხდარიყო, მაშინ ხომ ყველა მუშები თუ არა, უმრავლესობა მაინც მილიონერები უნდა გამხდარიყვნ. მაგრამ ისინი პროლეტარებათ დარჩენ. საქმე იმაშია, ჩემო მეგობრებო, რომ ბატონი ციმერმანი იღებდა **მეტს**, ხოლო მისი მუშები კი **ნაკლებს** თავისი ნამუშევრიდან. ციმერმანის მუშები პროლეტარებად უნდა დარჩენილიყვნ იმისათვის, რომ ის მილიონერი გამ-

ხდარიყო. და თუ ყოველ დამქირავებელს (სამუშაოს მიმცემს) არ შეუძლია ცირმერმანი გახდეს, ყოველ შემთხვევაში ყველა იმათგანი საზოგადოთ იმავე წესით ხდება სხვილ კაპიტალისტად, როგორც ბატონი ციმერმანი,— ე. ი. **თავისივე მუშების შრომის შემწეობით.**

შედგე თვალში გეჩხირება, მარა მიზეზი-კი ისე ცხადათ არა სჩანს. მე ვიხმარე სიტყვა **სამუშაოს მიმცემი**. უფრო სწორე იქნება ვთქვათ: **სამუშაოს ამღები**. ძველ ქვეყანას იმისთანა სიტყვები უყვარს, რომელნიც ცნებას სრულიად ამახინჯებენ, ყირამალა აყენებენ. ის სამუშაოს მიმცემს ეძახის იმას, ვინც **სარგებლობს** სხვისი მუშაობით, სამუშაოს-ამღებს კი იმას, ვინც თავის ნამუშევარს სხვას აძლევს. დღევანდელი სხვილი წარმოება ახლა ისეა მოწყობილი, რომ არავის არ შეუძლია ნაყოფიერად იმუშაოს თავისათვის თავის ხარჯზე; მისთვის აუცილებლათ საჭიროა ბევრის ერთათ მუშაობა, ის სიჭკიროდ ხდის შემოდებულ იქმნას რთული საწარმოვო იარაღები, რომლების მოპოვებაც აღემატება თვითეულ იმათგანის ძალას, ვინც მხოლოდ თავისი შრომის შემოსავლით სარგებლობს (რამდენათაც კი შრომა შემოსავალს აძლევს მშრომელს დღევანდელ პირობებში). ამის გამო ხდება ის, რომ ვინაც საკმაო კაპიტალი არა აქვს (თანამედროვე წესწყობილებაში არავის არ ძალუძს თავის საკუთარი შრომით შეიძინოს იგი), თავისი შრომა სხვას უნდა მი-

ყილოს, იმას, ვისაც საჭირო კაპიტალი აქვს. აი ამ შრომის საყიდელი ფასი წარმოადგენს სამუშაო ქირას. და აქ სხვათა შორის უნდა შევნიშნოთ, რომ ამ სამუშაო ქირით ყიდულობენ არა მარტო შრომას, არამედ მასთან ერთად მუშასაც, რომელსაც არ შეეძლია თავის შრომას განშორდეს და თავის შრომასთან ერთად თავის თავიც უნდა გაყიდოს. როგორც მოგეხსენებათ, მყიდველი უმტკიცებს გაყიდულს: მე შენი „კეთილისმყოფელი“ ვარო,—მე, ხომ „გაძლევ“ სამუშაოს და მასთან პურსაც, რომელსაც უჩემოთ ვერ იშოვიდიო. ეს—თეორიაა ვერეთ წოდებულ დამქირავებლის წამდვილად კი ეს წითხვა სულ სხვა სახეს იღებს. „კეთილისმყოფელთ“ რომ მუშისათვის სრული ღირებულება მიეცათ ხოლმე იმის, რასაც ეს უკანასკნელი დაამუშავებდა, იმ შემთხვევაში დამქირავებელს წლის ბოლოს ერთი კაპიტალის სიმძღვრედ არ მიემატებოდა წლის დასაწყისთან შედარებით, თუ გინდ ასე ათი ათას მუშას ემუშაენა მასთან. მარა ეს ვერაფერი ხელსაყრელი იქნებოდა „კეთილისმყოფელისათვის“. ის ცდილობს უფრო გამდიდრდეს, თავისი კაპიტალი უფრო გაზარდოს. და რომ თავის მიზანს მახწიოს, მან თავის მუშას იმაზე ნაკლები უნდა აძლოს, ვიდრე მუშა მას საჭმეს გაუკეთებს. სხვა სიტყვით: სამუშაო ქირა დახარჯულ მუშაობის სრულ საბადლოს კი არ წარმოადგენს, მუშა ქმნის მის-მიერ მიღებულ ღირებულებაზე მეტს—ზედ-მეტ ღირებუ-

ლებას, რომელსაც არ უხდია მას, აი, სწორედ ეს ზედ-მეტი ღირებულება ქმნის ეხლანდელ კაპიტალს ბურჟუასას. საწარმოვო პროცესის საიდუმლოების უფრო ღრმად განხილვა მე აქ არ შემიძლია. მივაქცევ თქვენს ყურადღებას კარლ მარქსის „კაპიტალზე“, რომელიც პოლიტიკურ ეკონომიაში იგივეა, რაც ბოკლი ისტორიაში და დარვინი ბუნებას მეტყველებაში. კმარა! ეგრეთ წოდებული დამჭირავებელი კი არ არის მუშის უთილის-მყოფელი, არამედ მუშაა კეთილის-მყოფელი ეგრეთ წოდებულ სამუშაოს მიმცემისა, თუმცა ეს მუშის სურვილით კი არ ხდება, რადგანაც მას კეთილის მყოფლობა აქცევს პროლეტარათ, დაქირავებულ მონათ იმისა, ვისაც თვითონვე ამდიდრებს. განა ეს წესია? განა ეს სამათალია?

ვისაც კი ამით პირადი სარგებლობა აქვს, მხოლოდ იმას შეუძლია დაადასტუროს ეს კითხვა. მუშები კი მოხარული უნდა ყოფილიყვნენ თავის სიღატაკისა და დამონაევებისა, მთელი თავიანთი ძალღონით რომ არ ცდილიყვნენ ბოლო მოუღონ ამისთანა მდგომარეობას.

სამუშაო ქრა ქვა-კუთხედია თანამედროვე კლასობრივი ბატონობისა და ყველა იმ ბოროტებისა, რომელსაც ის თან ატარებს. ამიტომაც სამუშაო ქირის მოსპობა ყოველად-კეთილშობლური მიზანია სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობისა. მუშამ უნდა მიიღოს სრული ნაყოფი თავის შრომისა და

მის შრომას უნდა ქონდეს თანამედროვე მეცნიერების მიერ გაუმჯობესებულ მუშაობის ნაყოფიერება. — აი ჩვენი მიზანი. ამნაირად ჩვენ საკუთრებას არაფერს ვუწავებთ, და არც გვინდა მისი დარღვევა. ის, რაც ჩვენ გვინდა მდგომარეობს შემდეგში: **ყველას** შეეძლოს საკუთრება ქონდეს; მუშის საკუთრება დაცულ იქნეს კაპიტალისტის კლანჭებისაგან. ეს ჩვენ გვინდა მივალწიოთ **ასსოციაციებით** (ამხანაგობებით). იმის მაგიერ, რომ მუშებმა სხვისთვის იმუშაონ, ვინც მათ ყვლეფს და იმონავენს, რატომ თავისათვის-კი არ უნდა იმუშაონ სხვებთან ერთად თანასწორ უფლებებით და, როგორც თავისუფალმა ადამიანებმა, თავისი შრომის სრული ნაყოფი მიიღონ ხოლმე. არ შეგვიძლია არ ვალიაოთ გაერთებულ წარმოების დიდი ღირსება და სარგებლობა. ჩვენ ვიცით, რომ ერთად მუშაობა შემოსავალს აღიდებს. ამიტომ გვსურს დავიცვათ თანამედროვე სხვილი წარმოების ღირსებანი, და, ხელს ვუწყობთ რა საყოველთაო წარმოების გაერთებას და პიროვნების თავისუფალ განვითარებას, ჩვენ გვსურს კიდევ უფრო გავაფართოოთ ეს ღირსებანი, მარა ამასთან გვინდა გაეანაწილოთ შემოსავალი ყველაზე თანასწორად და მოვსპოთ მონაპოლია უმცირესობისა.

თუ თანამედროვე წარმოება ახლანდელ ფორმით დარჩა, ჩვენ მივეუახლოვდებით იმ მდგომარეობას, როგორშიაც ძველი რომი იყო, როცა მთელმა საკუთრებამ ბოლოს და ბოლოს რამდენიმე ათი ალა-

მიანის ხელში მოიყარა თავი, ხოლო მთელ დანარჩენ ნაწილს მცხოვრებლებისას კი საშინელ სილატაკეში ხდებოდა სული და იღუპებოდა. მაგალითად, მთელი ჩრდილო აფრიკა ორ-სამ შემამულეს ეკუთვნოდა, რომელთაც ნერონმა პირველ-ყოფილ წესით წაართვა საკუთრება—ბრძანა მათთვის თავები დაეყრევინებიათ. თუ საქმე ჩვენს დროშიაც ასეთ უკიდურესობამდის მივიდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ხალხი და არა ხემწიფე, შეუდგება უსამართლოთ მითვისებულ კერძო საკუთრების ჩამორთმევას და საზოგადო საკუთრებათ გადაქცევას. ეს აუცილებელი გახდება. ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება დაუბოლოვებლად გაგრძელდეს, ეს ეწინააღმდეგება საყოველთაო ინტერესებს; დიდხნით ამას **საზოგადოების არსებობა ვერ შეურიგდება**, მიუხედავად „თანხმობისა“, რომელსაც ჩვენ გვიქადაგებენ და რომელიც თურმე ჩვენ, ბოროტ სოციალდემოკრატებს, გვინდა დავარდვიოთ ხალხის აღელვებით. მარა აბა, სადაა ეს თანხმობა? ეს—ბატონ ბურჟუების გამოგონილი ლათაიებია, ზღაპარია, ძიძები რომ გულუბრყვილო ბავშვებს უამბობენ, რომელნიც ჯერ კიდევ ვერ შეჩვეიან ფიქრს თავის თავზე. ის გაფიცვები, რომელნიც, როგორც უკვე აღვნიშნე, გამართულ იქნენ „ბელადების“ დაუნმარებლათ და თითქმის ყოველთვის მათი სურვილის წინააღმდეგ,— გერმანიაში, ბელგიაში, ინგლისში, ამერიკაში, ერთი სიტყვით ყველა სახელმწიფოებში, საცა-კი თა-

ნამედროვე წარმოებაა, მიუხედავთ შესამჩნევ დამარცხებისა მუდამ მეორედბოდენ ხოლომე,—ეს გაფიცვები საუკეთესო პასუხია თანხმობაზე, საუკეთესოთ ასურათებს თანხმობის მოძღვრებას.

✂ მაშ, ჩვენ ვცდილობთ დავარღვიოთ თანხმობა? მტკნარი სიცრუეა. ჩვენ ვესურს შეექმნათ თანხმობა, ჩვენ ვვინდა გარდავქნათ თანამედროვე საზოგადოებრივი წეს-წყობილება, რადგანაც ეს წეს-წყობილება იწვევს ინტერესების ერთიერთმანეთაან მტრულ შეჯახებას, რადგან ერთი მეორეს უპირდაპირებს მხაგრვლთ და დაზარულთ, მყვლეთელთ და გაყვლეთელთ, ის თანხმობა რომლისკენაც ჩვენ მივიღებთ ანხანაგობაა. დეე, ნულა იქნებიან ნურც ბატონები, ნურც მონები, იყო მხოლოდ ამხანაგები, ~~ადამიანები~~ ერთნაირის უფლებებით და მოვალეობით. თანხმობა შესაძლებელია მხოლოდ იმნაირ ამხანაგობაში, რომელიც დამყარებულია თანასწორობის პრინციპებზე. ეს ოცნება არ არის, ეს აზრი უკვე გამოცდილია ათასი წლობით. უკვე ათასი წლებია, რაც ჩვენ ამხანაგობა გვაქვს, რომელშიაც უესვი აქვს გაუდგარი მთელ კულტურას, ეს — ცოლ-ქმრობაა. ცოლ-ქმარს აქვთ საერთო ინტერესები. შეამ კითხვას მხოლოდ ეკონომიკური მხრით ვარჩევ. იქნებ ვინმე თქვენგანი მეგობრებო, იძულებული იყო დედაკაცი დაეჭირა, მას გამოცდილებით ეკოდინება, რომ (ყველა სხვა უსიამოვნებას თავი დაეანებოთ) მისი საოჯახო ხარჯი ამ დედაკაცის დროს მეტათ დიდი იყო ხოლომე. რატომ? იმიტომ, რომ ეკონომ—ქალს თავისი საკუთარი ინ-

ტერესი აქვს, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება ხაზინის ინტერესს. ეს ქალი უფრო თავის საკუთარ სარგებლობას დაუფაცურდება. ასე როდი იქცევა ცოლი. ცოლსაც იგივე საოჯახო ინტერესი აქვს, რაც ქმარს, ქმრის ხეირი—ცოლის ხეირიცაა, ცოლის ზარალი—ქმრის ზარალია. ცოლი თუ ქმარს ატყუებს, ამით თავის თავსაც ატყუებს. ერთი სიტყვით, აქ არსებობს ინტერესების სრული თანხმობა და ამ თანხმობაში ორივე მხარე თავის ეკონომიურ ბრძოლას ჰპოვებს. ეს არის იმის მიზეზი, თუ რატომ ცოლთან ცხოვრება უფრო იაფია, ვიდრე ეკონომ —ქალთან. ასეთივე ურთიერთობაა თანამედროვე ბურჟუაზიულ წარმოებაში. დამქირავებელს სხვა ინტერესი აქვს და მუშას სულ სხვა. მუშის ინტერესია—რაც შეიძლება ცოტა იმუშაოს იმ ხელ ფასში, რომელსაც ის ძღვეს, ხოლო დამქირავებელის ინტერესია—რაც შეიძლება მეტი მუშაობა გამოტყუოს მუშას იმ ქირაში, რომელსაც ის აძლევს. მუშის ინტერესია—გაყიდოს თავისი შრომა რაც შეიძლება **შოკლე** ხნით, ხოლო დამქირავებელის ინტერესია—იყიდოს ეს შრომა რაც შეიძლება **გრძელი** ვადით, მაშასადამე, რამდენათაც კი შეიძლება გააჭიანუროს სამუშაო დრო და სრულიად არ ზრუნავს იმაზე, იღუპება მუშა ამით გონებრივად და ფიზიკურათ თუ არა, ერთი სიტყვით, მათ შორის მტრული ინტერესები არსებობს, სრული უთანხმოება გამოცხადებული „თანხმობის“ ნაცვლათ.

თუ რამდენათ კარგათ შეიგნო ბურჟუაზიამ— (არ შემძლია შემთხვევა გავუშვა და ეს არ მოვიხსენიო) ნამდვილი ინტერესთა თანხმობის ეკონომიური სარგებლობა, სჩანს პარტნერშიპოვის შარლატნობიდან; ეს ამხანაგობა მხოლოდ იმ მიზნით განიზრახეს, რომ ამხანაგობის პრინციპის სასარგებლო ძალა დამოკიდებული ყოფილიყო კაპიტალისაგან. მუშა,— წაქეზებული მოგებაში მონაწილეობის აზრით, რომელიც მისთვის მხოლოდ მისატყუებელი ხრიკია, უფრო ინტენსიურათ მუშაობს, ვიდრე ჩვეულებრივი მოქირავე მუშა; მას წარმოუდგენია, რომ მუშაობს თავის სასარგებლოთ და ჭაპანს იწყვეტს მხოლოდ იმისთვის, რომ ზედმეტი მოგების **ზორბა ნაწილი**, რომელსაც ამნაირ გაძლიერებულ მოქმედებით ჰქმნის, კაცთ-მოყვარე კაპიტალისტს ერგოს, და ამნაირად თხის პატრონს თხის კულიც აღარ დარჩეს. მარა, საბედნიეროთ, ისეთ მუშების რიცხვი, რომელნიც ამ ანკესს მოხვდენ, დიდი არაა; ეს კი იმის ნიშანია, რომ დიდი უმრავლესობა ჩვენი მუშებისა მიმხვდარია, რომ ასოციაციის პრინციპის მტრები ბოროტად ხმარობენ ამ პრინციპებს თავისი საკუთარი სარგებლობისათვის.

მე ვუბრუნდები იმ საყვედურს, რომ ჩვენ გვსურს საკუთრების მოსპობა, მხოლოდ აქ ამ საყვედურის სხვა ფორმას შევხვები: თქვენ გინდათ „**გაყოფაო!**“! რასაკვირელია ჩვენ გვინდა გაყოფა იმათი ქონებისა, ვისაც რამე აქვს, და ესენი-კი შეძლებული კლასები

არიან. უნდა ვთქვათ, რომ ამ ბოლოს დროს არაერთხელ იყო ისეთი შემთხვევა, როცა პროლეტარიატს ხელთ ეპყრა შეძლებული კლასები და, მასადამე, მარჯვე შემთხვევა ქონდათ „გაეყოთ“, ანუ გაუმშვენებლათ რომ ვთქვათ, გაეცარცვათ ისინი. საკმაოა გავიხსენოთ თებერვლის რევოლიუცია, მარტის დღეები ვენაში, ბერლინში და სხვა ადგილებში, და ბოლოს კომმუნა. მიუხედავად ყოველნაირ განგებ გავრცელებულ სიცრუისა, ის ფაქტი ფაქტად დარჩება, რომ არასოდეს საკუთრებას ისე დიდი პატივით არ ექცეოდენ, როგორც მაშინ, და, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დიდ „გაყოფას“, არასოდეს ასე ცოტა დანაშაული არ ჩაუდენიათ საკუთრების წინააღმდეგ, როგორც ამ კრიზისების დროს. ამას ორნაირი მიზეზი აქვს—პირველად, პროლეტარიატი არჩევს ადამიანებს პირობებისაგან და იცის, რომ პირობების გამოცვლა შეუძლებელია საკუთრების ხელიდან ხელში უბრალო გადასვლით. მეორედ, რევოლიუციის დროს ჭკუა-გონება აღძრულია, მოძრაობაშია, და გარყენილი ბუნების მქონე ადამიანებსაც-კი ჩაებეჭდებათ ხოლმე გულში მაღალი გრძობები. ეს სჩანს, (რაც, სხვათა შორის, დამტკიცებულია სტატისტიკურათ) არა მარტო საკუთრების საწინააღმდეგო დანაშაულის შემცირებიდან, არამედ სხვა უფრო დაბალი ხარისხის დანაშაულის იშვიათობიდანაც.

პარიჟში, თებერვლის რევოლიუციის შემდეგ,

მუშები იზნაირო პატივისცემით. ეპყრობოდენ სა-
კუთრებას, რომ თავისი აზრის წმიდათ შენახვისა-
თვის სჯრეტდენ ჭურღინს. მე თვითონ წავიკითხე
თებერვლის გასულს 1848 წ. ტიულერის კედლებზე
ცარკით დაწერილი შემდეგი სიტყვები: „**ჭურღები
მოკლულ იქნებიან!**“ ეს მაგონებს მე ჰერნის ჰეინეს
შემდეგს მშვენიერ ენამახვილობას: „ბურჟუებიო, —
დაახლოვებით ასე სწერდა ის ერთ წერილში აუგს-
ბურგის „საყოველთაო გაზეთში“ — „იელისის ტახ-
ტის დაცემას მეტის მეტად გულცივად უყურებდენ,
მარა, გაიგონეს თუ არა, რომ ჭურღები მოკლულ
იქნებიანო, შიშის კანკალმა აიტანა ისინი და ბა-
ტონნი როტშილდები და სხვა დანარჩენი სხვილი
კაპიტალისტები გაიქცენ პარიჟიდან, სადაც ისინი
განსაცდელში გრძნობდენ თავს“. აი ვინ ბრძანდე-
ბიან ისინი! მე არ მინდა ვთქვა ჭურღები-მეთქი, მა-
რა „გამყოფელები“, ნამდვილი გამყოფელები-კი,
რომელნიც საყოველთაო სახალხო მსჯავრის მოლო-
დინში კინალამ შიშით გაშემდენ, მუშები როდი
არიან, არც სოციალისტები, ეს ბატონი **კაპიტა-
ლისტები** ბრძანდებიან. მაშასადამე, ამ საყვედურს
უკანვე ვუბრუნებთ ჩვენს მოწინააღმდეგებს.

ო.უ. როგორ უყოფენ ნამუშევარს დამქრავე-
ბელნი მუშებს, ეს უკვე ავხსენი. **ბირჟაზე** ეს „გა-
ყოფა“ წარმოებს კიდევ უფრო დიდ ფარგალში
და უფრო ცხადათ, ნათლად. მხოლოდ საწველ ფუ-
რად ხდება მუშა კია არა, წერილი მოქალაქე, სა-

„შუალო კლასი ამ სიტყვის უფრო ფართო მნიშვნელობით. რაში მდგომარეობს ბურჟუაზიის ტყუილი, რომელსაც თითქმის მთელი პრესა ემსახურება? რაში და მოხერხებულ სპეკულიანტებისაგან ხალხის გაცარცვაში, გაგლეჯაში. საკმარისია წაიკითხოთ „ლეიპციგის ყოველ დღიური ბირჟის ანგარიშები და დარწმუნდებით ჩემი სიტყვების სიმართლეში. ამგაზეთის მართლა მშვენიერ სტატიებში საუცხოვოთაა დასურათებული ბირჟის სპეკულიაცია, ეს ჩვენი დროის დამახასიათებელი რაინდული მტაცებლობა. ბირჟის მოთამაშე შლის თავის ბადეს და უბედური გულუბრიყვილონი-კი შიგ ეხვევიან და მის ულუფად ხდებიან.

ყველას გაგეგონობათ „სტრასბერგზე“, საიდან რა საშუალებით შეიძინა მან თავისი მილიონები? რასაკვირველია არა შრომით, არამედ გაიძვერული ხრიკებით ჩაიხხრიალა მან ჯიბეში სხვისი ფულები. მარა სტრასბერგი, საკუთრების მოთაყვანეთა შეხედულებით, ხომ პატივსაცემი კაცია; პრუსიის ერთი სახელმწიფო ჩინოვნიკი საქმის წარმოებაში ეხმარება, — მაშასადამე, ამ ვაჟბატონს გერმანიის სახელმწიფო ბეჭედი აზის, რაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ამნაირი **საკუთრებაზე ნადირობა** შეეფერება თანამედროვე საზოგადოებისა და თანამედროვე სახელმწიფოს სულის-კვეთებას.

გადავიდეთ ახლა სხვილი „გამყოფელიდან“ წვრილებზე, რომლებსაც რამოდენიმეთ თქვენც კარგათ

იცნობთ საკუთარი გამოცდილებით; მე აქ ვლავარაკობ შუამავლებზე, ჩარჩებზე. ფეიქარი მუშაობს უიმისოდაც იმნაირ ხელ-ფასში, რომელსაც შიმშილის პირამდე მიყავს, მიუხედავთ ამისა ეს ხელფასი კიდევ უფრო მცირდება ერთი ჯურის ადამიანებისაგან, რომლებიც ჩარჩებათ უდგებიან მათ და ვაჭრებს, ან მექარხნებს. ფეიქარი, 12, 14, 16 საათის განმავლობაში მომუშავე, თანდათან სულ უფრო ღარიბდება; სამაგიეროთ მდიდრდება ჩარჩი, რომლის შრომაც მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ნედლი მასალა ვაჭრიდან, ფეიქართან გადაიტანოს და დამზადებული მასალა-კი—ფეიქრიდან ვაჭართან. რით ახერხებენ ჩარჩები ამას? იმით, რომ მათ კარგათ ესმით „გაყოფის“ მნიშვნელობა. ავილოთ მეორე მაგალითი: თქვენ გეხსომებათ სახალხო კრება, რომელიც მოწვეული იყო ჩვენიგან ლეიპციგში რამოდენიმე თვის წინეთ ხალხურ მართველობაზე მოსალაპარაკებლათ. მაშინ ჩვენი მეგობარი ბებელი ამტკიცებდა, თუ როგორ იღებენ მდიდრები თავის სასარგებლოდ ქალაქის გადასახადებს, უმთავრესათ ღარიბების ჯიბიდან, კანონები ხომ მათ ხელშია! ასეთივე ამბები ხდება კრიმიტაუშიაც და თუ ამ კითხვას გულ-დასმით, დაწვრილებით გამოვიკვლევთ, ამ მოვლენას შევხვდებით ყველგან, სადაც კი კლასობრივი ბატონობა არსებობს, როგორც სახელმწიფოში, ისე თემში. კლასობრივი ბატონობის ბუნებაა—თავისი უფლება კერ-

ძოთ თავისთვის და თავის კლასის სასარგებლოთ მოიხმაროს. ამიტომაც ჩვენ ვიბრძვით კლასობრივ ბატონობის წინააღმდეგ. რომელიც ფესვია ყოველივე სოციალური სიბოროტისა და აქიდან წარმომდგარ პოლიტიკურ უთანსწორობისა.

ერთი სიტყვით—ჩვენ კი არა გვსურს „გაყოფა“, ამ საყვედურსაც უკან ვუბრუნებთ იმათ, ვინც ჩვენ ამას გვაბრალეხს. ჩვენ პრინციპიალური წინააღმდეგნი ვართ ყოველ-ნაირ „გაყოფისა“. სოციალდემოკრატიას უნდა „გამყოფელებს“ მათი ხელობა ჩამოართვას, —იმ „გამყოფელებს“, რომელნიც ითვისებენ მუშის ნამუშევრის დიდ ნაწილს, იმ „გამყოფელებს“, რომელნიც იტაცებენ წვრილ საკუთრებას; იმ „გამყოფელებს“, რომლებიც გადასახადებით ხალხს სისხლს წოვენ. ამ „გამყოფელების“ ბრბოსაგან, რომელნიც კალიებივით ნთქავენ შრომის ნაყოფს სახელმწიფოში, თემში, ბირჟაზე, მრეწველობაში, და ვაჭრობაში (ვაჭრობაც მათ ეკუთნის) გვინდა დავითაროთ საზოგადოება, **შრომა**; დავიცვათ **საკუთრება**.

ერთი კიდევ: როგორ ესმით, რა წარმოდგენა აქვთ ჩვენ მოწინააღმდეგეთ ამ „გაყოფაზე“, რომელიც ასე დაჟინებით უნდათ ჩვენ დაგვაბრალონ.

ნუ თუ მათ მუშა იმდენათ გულუბრიყვილოდ მიაჩნიათ, რომ მას იმედი ქონდეს: თუ სახელმწიფო მთელ სიმდიდრე-ქონებას სულზე გაყოფს, ამით ჩვენი მდგომარეობა გაუმჯობესდებაო? აგერ უკვე ოცდა

ხუთი წელიწადია, რაც მე სოციალდემოკრატიულ მოძრაობაში ვიღებ მონაწილეობას და ჯერ კიდევ არ შემხვედრია არც ერთი ამხანაგი, რომელსაც ასეთი უსუსური უმეცრება გამოეჩინოს, ყველა მუშამ იცის: თანამედროვე წარმოების წესის მოუსპობლათ, ჩვენ რომ თანასწორ ნაწილებად გავყოფ ყველა არსებული ღირებოლობა—უძრავი ქონება და მოძრავი კაპიტალი—და სულზე გავანაწილოთ, ამით საზოგადოება არსებითად სრულიად არ გამოიცვლება; შედეგები მაშინვე მოისპობა, მარა მიზეზები კი წინანდელ ძალაში დარჩება და უსათუოდ ისევ წინანდელ - შედეგებს გამოიწვევს. ასეთი გაყოფა რომ მოხდეს და მეხანიკურად თანასწორობა დამყარდეს, ეს თანასწორობა არსებულ ეკონომიურ კანონების ზე-გავლენით ორგანიზულად ისევ გაქრება და დიდხანს ცდა არ მოგვინდება, რომ უთანასწორობა ხელახლავ ძალაში შევიდეს. ჩვენ პირვანდელ მდგომარეობაში ამოვყოფდით თავს და ხელახლავ „გაყოფა“ უნდა დავვეწყო. არა; ასეთი სისულელე სოციალდემოკრატიკი არ დაებადება თავში: სოციალდემოკრატია საზოგადოებას ისე კი არ უყურებს, როგორც მკვდარ მექანიზმს, არამედ როგორც ცოცხალ ორგანიზმს, — ორგანიზმს, რომელიც ყოველი ცხოველისა და მცენარის მსგავსად მუდამ იცვლება და ვითარდება, დაბალი მდგომარეობიდან თანდათან მაღალ მდგომარეობაში შედის, — იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ის მთელი ორგანიზმი, რომელსაც

ჩვენ საზოგადოებას ვეძახით, უკვდავია, სამუდამოა; ყველა კრიზისებიდან ეს საზოგადოება განახლებული და ძალა-მოკრებილი გამოდის, წინააღმდეგ იმ უკუ-კუო და სულმოკლე ადამიანთა აზრისა, რომელთაც გონიათ—საზოგადოება კრიზისის დროს სასიკვდილო ჭრილობას იღებსო. ჩვენ მექანიკურ ცვლილებას როდი ვცდილობთ, არამედ ორგანიულს. ~~სისტემა დაქირავებული შრომისა~~, რომელზედაც დაყრდნობილია თანამედროვე საზოგადოება, უნდა მოისპოს და ამხანაგობრივი შრომის სისტემით უნდა შეიცვალოს. ეს უზრუნველ ყოფს ყველას მიიღოს თავის შრომის ნაყოფი და ამით კაპიტალს ხელი შეუშალოს შრომის ექსპლუატაციაში. დიდი კერძო კაპიტალის შეგროვება შესაძლებელია მხოლოდ ამ ექსპლუატაციის საშუალებით. ამიტომ, პრინციპი-აღიარებულად, არსებულ კერძო კაპიტალის გაუქმება არ არის აუცილებლათ საჭირო; საწარმოო ასოციაციები (ამხანაგობანი) და მასთან ერთათ მომხმარებელი საზოგადოებანი, რომელნიც ხელთ იგდებენ მთელ ვაჭრობას,—თანდათან ჩანთქავენ კერძო კაპიტალს და საჭირო აღარ იქნება კაპიტალის საყოველთაო ძალ-დატანებითი გაუქმება. ბატონი კაპიტალისტები მაშინ ან უნდა შევიდნენ ასოციაციაში ან და მათი კაპიტალი მკვდარ კაპიტალად გადაიქცევა და მათთვისაც და საზოგადოებისათვისაც უქმი შეიქნება; ასე რომ ამ შემთხვევაში რასაკვირველია, როგორც

კერძოთ მათთვის, ისე საზოგადოების ინტერესისათვის, უმჯობესი იქნება კანონმდებლობამ ზომები იხმაროს ამისთანა უაზრო წინააღმდეგობის ასალაგმავათ, სწორეთ ისე, როგორც ამ ეამათ ხმარობენ ზომებს მულანგველების და უქკუოების წინააღმდეგ. მაგრამ ასე იქნება თუ ისე, თუ საზოგადოება წარმოების და მოხმარების მხრივ, მაშასადამე, მრწველობისა და ვაქრობის მხრივ მოწყობილი იქნება ამხანაგობრივი ორგანიზაციით, მაშინ კერძო კაპიტალის სასიცოცხლო ძარღვი გაწყდება და თვით კაპიტალიც მოკვდება, ყველაფრის გამჩენი შრომა კი თანდათან შექმნის ახალ-ახალ ღირებულებას და გააორკეცებს, გაათკეცებს მკვდარ კაპიტალს. აქ-კი ჩვენ გვიჩიჩინებენ, — ხოლო გერმანიის პოლიტიკოს — ეკანომოსები-კი, რომელთა შორის დიდი ნასწავლებიც ურევიან, როგორც მაგ. ლეიპციგელი პროფესორი როშერი, კიდევ გვიმტკიცებენ, — შრომა არაა ერთად-ერთი ფაქტორი, რომელიც ღირებულებას ქმნისო; არსებობს ორი ფაქტორი: ბუნების ძალები და — კაპიტალიო. ეს თეორია ნათლად ამტკიცებს, თუ როგორ ავიწროებენ ადამიანთა გონებას მამა-პაპათაგან გადმოცემული კლასსობრივი ცრუ შეხედულებანი, და როგორ აუპატიოსნებენ მათ; ამასთან ეს თეორია იმასაც გვაჩვენებს — თუ რამდენათ განსხვავდება ნასწავლობა და აზროვნობა ერთმანეთისაგან. თავის-თავათ ცხადია, რომ ჩვენ ბუნების ძალების დაუხმარებლად მუშაობა არ შე-

გვიძლია, თვითონ მუშაობა არის მხოლოდ ბუნების ძალების გამოყენება და სხვა არაფერი. უიმ ნიადაგით, რომელზედაც ვდგევარ, უიმ ჰაერით, რომელსაც ვსუნთქავ, მე თითის გაქნევაც არ შემიძლია. ბუნების ძალები აუცილებელი პირობებია შრომისათვის, მარა არც ამ ძალებს შეუძლიათ უშრომოდ შექმნან საზოგადოებრივი ღირებულებანი, **მხოლოდ შრომის წყალობით ხდებიან** ეს ძალები წარმოებისათვის აუცილებელ საშუალებად. ამიტომ სრულიად უსაფუძვლო იქნება შრომის მნიშვნელობა მივცეთ მათ, როგორც ფაქტორებს წარმოებისას. მარა აქ ჩვენ საქმე გვაქვს უფრო შეუფერებელ გამოთქმასთან, ვიდრე განზრახ მოგონილ ტყუილთან. სამაგიეროთ ასეთ ტყუილს უეჭველათ ადგილი აქვს მესამე ფაქტორის—**კაპიტალის** შესახებ. კაპიტალი, რასაკვირელია, ეხმარება წარმოებას, ხელს უწყობს კიდევ მის განვითარებას, მაღლა სწევს მას, მარა რადგან კაპიტალი წარმოადგენს მოგროვილ შრომას, ანდა უფრო სწორეთ რომ ვთქვათ: მოგროვილ შრომის ნაყოფს, ამიტომ არ შეიძლება შრომის მნიშვნელობა მივცეთ მას, როგორც **დამოუკიდებელ** ფაქტორს, ის მხოლოდ უერთდება ფაქტორს „შრომა“-ს და ამ უკანასკნელის **ნაწილს წარმოადგენს**. სულ უბრალო დღიური მუშის სულ მცირე მუშაობაც-კი შეიცავს, სხვათა შორის, ათასი წლობით შეგროვილ **კულტურულ შრომას**, და ეს კაპიტალი-კი გაცილებით უფრო საჭიროა წარმოე-

ბისათვის, ვიდრე ჩვეულებრივი კაპიტალი, თუმცა ბატონ პოლიტიკოს-ეკონომისტებს ეს კაპიტალი როდი ჩაურიცხავთ წარმოების ფაქტორად, რადგანაც ეს მათ არაფრათ ესაჭიროებათ.

თუ გვსურს უფრო ცხადათ და ნათლათ დავამტკიცოთ, რომ მხოლოდ შრომა ქმნის კაპიტალს, რომ უშრომით კაპიტალი არაფერია და შრომას უნდა უმადლოდეს ყველაფერში, ამისათვის საკმაოა ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, ვითომც მოვიდა საშინელი წარღვნა, რომელმაც აღგავა პირისაგან ქვეყნისა ყველა მუშები, განსაკუთრებით ეს კორორტი¹ სოციალდემოკრატები, ხოლო ეს ბატონნი ბურჟუები კი და მათთან ერთათ მათი კაპიტალი, ქარხნის შენობები, მაშინები, ბრწყინვალე სასახლეები და ძვირფასეულობანი, წყალობითა ღვთისათა, გადარჩენ...

რა გამოვიდოდა აქედან? ისა, რომ კაპიტალისტებს ან თვითონ უნდა დაეწყეთ მუშაობა, ანდა თავიანთ ოქროებში სული ამოხდენოდათ შიმშილისაგან, საბერძნეთის იმ ზღაპრულ მეფესავით (მიდასუ), რომელსაც, საწყენათ არ ვამბობ, აგრეთვე გრძელი ყურები ქონდა. მარა ავიღოთ ახლა წინააღმდეგი შემთხვევა—ვთქვათ, წარღვნამ წალეკა ყველა კაპიტალისტები (მე, რასაკვირელია, მათთვის არაფერი ცუდი არა მსურს, ეს ფიქრათაც-კი არ მომივა, მათი გადასახლება შეიძლებოდა რომელიმე ვარსკვლავზე—მაგ. ვენერაზე—სადაც დანტემ თა-

ვისი განსვენებული სულეები მოათავსა),—წარმოვიდგინოთ, რომ კაპიტალისტები თავისი კაპიტალებით გაქრენ ამა ქვეყნიდან და მუშები კი დარჩენ უქარხნოთ, უმაშინოთ, ერთი სიტყვით მათ აღარაფერი დარჩათ, და მხოლოდ მეორე მოსავლამდის სამყოფი შეინახეს. რა შედეგი მოყვებოდა ამას? ის, რომ მუშები ისევ მალე გააკეთებდნენ იარაღს, აიშენებდნენ სახლებს, მოხნავდნენ მიწას, გაიყვანდნენ არხებს, ამოთხრიდნენ მალაროებს და რამდენიმე წლის განმავლობაში ხელ-ახლავ აღდგენილი იქნებოდა მოსპობილი კაპიტალი და წარღვნის უკანასკნელი კვალიც კი გაქრებოდა: მუშები გაცილებით უფრო ბედნიერთა იცხოვრებდნენ, ვიდრე უწინ ცხოვრობდნენ, ისინი განთავისუფლდებოდნენ თავიანთ პირვანდელ ბატონებისაგან: ექმნებოდათ კაპიტალი უკაპიტალისტებოთ. რასაკვირველია, თავის თავათ ცხადია, რომ თუ ბუნების რომელიმე მოვლენის ან სხვა გარემოების წყალობით ბურჟუაზია სრულიად მოისპობოდა მთელი თავისი ქონება-შეძლებით, მაშინ ისე გულ-უბრყვილო არავინ არ იქნებოდა გადარჩენილებში, რომ ბურჟუაზია ხელახლავ გამოეწვია ცხოვრებაში ხელოვნურად. კმარა! ამ მაგალითმა მხოლოდ ის უნდა გვიჩვენოს, რომ მუშა არ საჭიროებს კაპიტალისტს და უმისოთ გაცილებით უფრო კარგათ იგრძნობს თავს, ხოლო კაპიტალისტს კი სჭირია მუშა და უმისოთ არ შეუძლია არსებობა, როგორც კაპიტალისტს მაინც. ერთხელ კიდევ ვი-

მეორებ—ჩვენ არ გვსურს „გაყოფა“, ჩვენგან შორს არის სურვილი ვიყოფდეთ კაპიტალისტებთან; ჩვენ თავგამოდებით ვეცდებით კაპიტალისტებს ხელი შეუშალოთ, რომ ისინი აღარ იყოფდნენ მუშებთან; ამის მიხწევა კი გვინდა საყოველთაო ამხანაგური შრომის შემოღებით.

განა შეიძლება ეს მისწრაფება განუხორციელებელ ოცნებათ მიგვაჩნდეს? განა გამოცდილებით დამტკიცებული არა ამხანაგური პრინციპის პრაქტიკულად განხორციელება ვაჭრობა-მრეწველობაში? ამ პრინციპის საყოველთაოთ გატარება **ფულის კითხვაა** და სხვა არაფერი. ფულის კითხვას კი გადაწყვეტს ნებაყოფლობის კითხვა. ლასალმა, როგორც იცით, მოითხოვა სახელმწიფოსაგან საწარმოვო ასოციაციისათვის 100 მილიონი ტალერი; ამით მან დიდი, ბრაზმორეული ყაყანი გამოიწვია ბურჟუაზიაში, რომელსაც საყოველთაო გაკოტრება წარმოუდგა თვალწინ, თუ ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნებოდა. მე არ გამოვუდგები იმის გამორკვევას, საკმაოა თუ არა ლასალისაგან ნაჩვენები ფულის რაოდენობა, ყოველ შემთხვევაში ეს თანხა სახსენებელიც კი არ არის იმ მილიარდებთან შედარებით, რომლებსაც ფლანგავენ უსარგებლო, კულტურისათვის მავნებელ და ხალხის კეთილმდგომარეობის დამრღვევ საქმეებზე. შეხედეთ, მაგალითათ, უშველებელ ბიუჯეტს მუდმივი ჯარისას! ის მხოლოდ იმისათვის არსებობს, რომ დღევანდელ სა

ხელმწიფოსა და საზოგადოებრივ ბოროტმოქმედებას ხელი შეუწყოს; წარმოდგინეთ რამდენი ათასი მილიონი შთანთქა უკანასკნელმა ომმა, სოციალიზმის შიშით გამოწვეულმა! მართლაც, რაც უნდა ძვირათ დაჯდეს საზოგადოების განახლება, უკეთესი წესების შემოღება არ დაჯდება ისე ძვირათ, როგორც დღეს საძაგელი წესების დაცვა ჯდება.

განვაგრძოთ.

საყვედურს **კომმუნისმის** შესახებ მოკლეთ შევებები. როგორ ესმით ჩვენ მოწინააღმდეგეთ სიტყვა კომმუნისმი? იმნაირად, თითქო ზარმაცებს და იმათ, ვინც არ მუშაობს, სურდეთ იცხოვრონ ყველას ხარჯზე. დიახ, ჩემო მეგობრებო, **ასეთი კომმუნისმი არსებობს ეხლანდელ დროში**, ეს თავი და თავი პრინციპია თანამედროვე სახელმწიფოსი და საზოგადოებისა და სწორედ ამის **წინააღმდეგ** არის მიმართული, მთელი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა. ნამდვილად კი სიტყვა კომმუნისმს სულ სხვა, სულ წინააღმდეგი მნიშვნელობა აქვს (მე ვაპბობ: ნამდვილად კი-მეთქი, რადგანაც კომუნისტებს სწორეთ ამ მნიშვნელობით ესმით იგი). არა, კომუნისმი ზარმაცებისაგან მშრომელების ყვლეფა—ექსპლუატაცია კი არ არის, არც არა-მომუშავეთაგან მუშებისა—კომმუნისმი ნიშნავს კერძო ინტერესების დამორჩილებას საზოგადო ინტერესებისადმი; რაც შეეხება სპეციალურად საკუთრებას, კომმუნისმი ცდილობს კერძო **საკუთრება გახადოს საყოველ-**

თაო საკუთრებათ. მაშასადამე, საკუთრების არა მოსპობა (სანამ ადამიანები არსებობენ, საკუთრებაც იქნება არამედ მისი განსაზოგადოებაა მიზანი კომუნისმისა, მაშინ თვითუელს ექნება უფლება მაზე, ახლა კი საკუთრება ხვედრია მხოლოდ ადამიანთა მცირე ნაწილისა. აი, მხოლოდ ამ მიზნით (კარგათ დააკვირდით ამ ცნებას). ველტვით ჩვენ კომმუნისმს.

შემდეგს საყვედურს, რომელსაც ჩვენ გვახლიან, თავიდან მოვიშორებ მხოლოდ რამდენიმე შენიშვნებით ჩვენ გვიწოდებენ „მე-19 საუკუნის ბარბაროსებს“, ჩვენ ვცდილობთ ვითომც „კულტურის განადგურებას“, სოციალ-დემოკრატიის გამარჯვება „ცივილიზაციის მოსპობაო“. ის პარტია, რომლის პროგრამაშიაც მოქცეულია უფასო სახალხო სწავლა და საზოგადოთ ყველა აღმზრდელ და განმანათლებელ დაწესებულებაში უფასოთ სიარული, ეს პარტია, მე ვამბობ, ყურსაც არ ათხოვებს ამცილის წამებას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი ჩვენ დანაშაულს ვკისრულობთ. დიახ, ჩვენ გვინდა დავარღვიოთ ის, რასაც ჩვენი მოწინააღმდეგენი „კულტურას“, „ცივილიზაციას“ ეძახიან.

ჩვენ გვინდა მოვსპოთ მონობა და ტანჯვა-წვალება, ჩვენ გვინდა გავანადგუროთ სიმუღვილის და უთანხმოების თესვები, რომლებიც დათესილია ადამიანთა შორის, ჩვენ გვინდა აღმოვფხვრათ უმეცრება, გონებრივი სიბნელე, რომლითაც მოკუულია

ჩვენი ძმების დიდი უმრავლესობა. დიახ, ბატონო ბურჟუეზო, ჩვენ გვინდა **უშეცრება** აღმოფხვრათ, ჩვენ თქვენი კულტურის მტრები ვართ! თქვენებური კულტურა პირდაპირ ეწინააღმდეგება **კულტურას**: თქვენ შეგიძლიათ გადააჩინოთ თქვენი კულტურა, თუ ხალხს უშეცრების მორევში დასტოვებთ, უსირცხვილოთ თუ უდარაჯებთ და ქვეშაირ კულტურის საკუქნაოში არ შეუშვებთ მას, გამოუყეტავთ კარს განათლების ტაძრისას! ამ ტაძრის კარის გაღება ხალხისათვის—აი ჩვენი მისწრაფება. მეცნიერება, რომელიც თქვენ მონაპოლიად გახადეთ რამდენიმე რჩეულთათვის, **ეს მეცნიერება ჩვენ გვინდა გავხადოთ ყველას ხელმისაწვდომათ**. თქვენ კი რამდენიმე რჩეულსაც-კი ლუკმა-პურს ართმევთ, თუ ვინიცოცხლა მათ მლიქვნელობა მოაკლეს თქვენს ჟინს და ხუშტურს, თუ ხელს აღარ უწყობენ თქვენს ანგარებას*). უნდა დაარსდეს ქვეშაირი სახალხო შკოლები, ჩვენ არა გვსურს ისეთი გასაწვრთნელი დაწესებულება, როგორც თანამედროვე სახალხო შკოლაა, რომლის ახლანდელი მდგომარეობა პირდაპირ დასცინის მის სახელწოდებას; არ გვსურს სა-

*) როცა ეს სიტყვა წარმოვთქვი, მე კიდევ არ ვიცოდი, რომ ფეიერბახს შიმშილით სიკვდილი ქონდა გადაწყვეტილი. ერთი მხრით, შიმშილით მომაკვდავი ფეიერბახი, მეორე მხრით-კი—პედანტი, რომელიც ლიბერალური ბურჟუაზიის კერპათ გადაიქცა—„სამაგელი, გათა“ ზებულები ხუცესი დოლინგერიუსი“—ეს საკმაოა ჩვენი ბურჟუაზიულ ქვეყნის „განათლების“ დასახსიათებლად.

ხალხო შკოლა, სადაც მასწავლებლები ფიზიკურად და მოწაფეები გონებრივით შიმშილით უნდა დაიხოცონ, სადაც ღარიბების შვილებს მხოლოდ ნასუფრალს უგდებენ, ნამცეცებს, რაც სრულიად საკმაო არაა გონების საზრდოთ; არ გვინდა იმისთანა სახალხო შკოლა, რომელიც ერთ ბეწო ცოდნას აძლევს ადამიანს,—არა, ჩვენ გვინდა ხალხისათვის შკოლა, რომელიც მისცემს ყველა ბავშს მაღალ განათლებას; ჩვენ გვინდა შკოლა, რომელიც ხელს შეუწყობს ყოველ ბავშვში ყოველწაირ ნიჭის გაღვიძებას და განვითარებას, და არა ისეთი შკოლა, რომელშიაც დღეს ბავშვები სწავლას იმ ხანა ათავებენ, როცა მხოლოდ უნდა იწყებდენ. სოციალიზმი მტერია კულტურისა! იქნებ იმიტომ, რომ ის საშუალებას აძლევს ყველა ტალანტს განვითარდეს? რა მძლავრი ბერკეტია კულტურული წარმატებისათვის ქემშარიტი სახალხო სწავლა—აღზრდა! ნიჭი თანასწორად განაწილებულია ადამიანთა შორის—ეს ქემშარიტებაა, რომელსაც ჩვენ მაგრათ უნდა ჩავკიდოთ ხელი, რადგანაც ეს საფუძველია სოციალისტურ და დემოკრატიულ შეხედულებისა; მარა თანამედროვე საზოგადოება ნებას აძლევს განავითაროს თავისი ნიჭი ადამიანთა სულ მცირე ნაწილს და მათაც-კი, ზოგიერთ შემთხვევის გარდა, ცალმხრივ, დამახანჯებულ განათლებას აწვდის. დღევანდელ პირობებში ნიჭი უმეტეს ნაწილათ იხშობა. ხშირად უყვირთ, რომ ზოგიერთ ხანაში ბევრი შე-

სამჩნევი ადამიანები ჩნდებიან ხოლმე. ეს სწორეთ ის ხანებია, როცა დაძინებულ ნიქს შეუძლია გაიღვიძოს და საქმეში იჩინოს თავი. ეს ხდება განსაკუთრებით რევოლიუციონურ ხანაში, რომელიც მოითხოვს ახალ-ახალ ძალებს ახალი აზრების და წყობილების დასაცავათ. მაგალითად, აბა, შეხედეთ რამდენი დიდებული სახელმწიფო მოღვაწენი, ორატორები, სარდლები არსებობდნენ საფრანგეთის რევოლიუციის დროს. ამისთანა დროში ნიქიერები უფრო მრავლათ კი არ არიან, ვიდრე ჩვეულებრივ დროს, მარა (ვსარგებლობ პოლიტიკურ ეკონომიურ ტერმინებით) **დიდი მოთხოვნილებაა** ხოლმე ნიქზე. შემთხვევა ჰქმნის არა მარტო ქურდებს, არამედ „დიდებულ ჯაცებსაც“. „დიდებული კაცი“ იგივე ჩვეულებრივი კაცია, რომელსაც შემთხვევა მისცემია „დიდებული“ გამხდარიყო. ყველა ამას მე მხოლოდ იმისათვის ვლაპარაკობ, რომ გიჩვენოთ, თუ რა უსაზღირო ხელის შეწყობა უნდა ჩვენი კულტურის განვითარებას, თუ საზოგადოება როდისმე უმაღლეს მიზნათ იმას დაისახავს, რომ რაც შეიძლება **ყველას** განუვითაროს ნიქი. მაშასადამე, უმაღლესი განათლება ყველასათვის! ჩვენ გვინდა გავათვისუფლოთ მეცნიერება და გავხადოთ **ყველასათვის ხელის მისაწდომი**, მას ბორკილები არ უნდა ქონდეს დადებული, მოსამსახურეთა ხვედრი—სილატაკე და პროსტიტუცია არ უნდა იყოს. დიახ, ჩვენ გვინდა დავარღვიოთ თქვენი კულტურა, რადგანაც ის მტე-

რია ქეშმარიტ კულტურისა; ის ვერ შეურიგდება ქეშმარიტ ცივილიზაციას; ის ძალით აიძულებს მეცნიერებას თავი მიყიდოს სიმდიდრეს და ძალა-უფლებას; ის, დაფუძნებულია უსამართლობაზე, გაქლენთილია გარყენილებით, და ამასთან მეცნიერების პროსტიტუციას, გარყენილებას, თქვენ მიუმატეთ კიდევ **დედაკაცის პროსტიტუციაც**, როსკიპობა. ქალის პროსტიტუცია—ეს ყველაზე უფრო საზიზღარი ჩირქია თქვენი კრუ-კულტურისა. აი, სწორედ ამიტომ გვინდა გავანადგუროთ თქვენი კულტურა.

ამ გარყენილ საზოგადოების წარმომადგენლებს კიდევ თავხედობა შესწევთ გვისაყვედურონ—რომ ჩვენ გვინდა მოვსპოთ ოჯახი და შემოვიღოთ მრავალ-ცოლობა და „თავისუფალი სიყვარული“! თავისუფალი სიყვარული—ნამდვილია! დიახ, ჩვენ გვინდა ის, ჩვენ გვინდა გავათავისუფლოთ სიყვარული იმ ბორკილებისაგან, რომლითაც შებოჭილია იგი თანამედროვე საზოგადოების მიერ, მარა როცა ჩვენი მოწინააღმდეგენი მრავალ-ცოლობაზე და ოჯახის მოსპობაზე ლაპარაკობენ, მხოლოდ თავის თავს ხედავენ სარკეში. ჩვენ ისინი თავის საკუთარ ცოდვებს გვაზვევენ. ჩვენ-კი არ ვცდილობთ მრავალ-ცოლობის შემოღებას, ღმერთმა დაგვიფაროს! ჩვენ ამ აზრისაგან შორს ვართ, პირობით ჩვენ გვინდა მოვსპოთ ახლანდელ დროში გაპატონებული მრავალ-ცოლობა; ჩვენ-კი არ გვინდა ოჯახი მოვსპოთ, შორს

ეს აზრი ჩვენგან! პირიქით, ჩვენ მიზნათ დავისახეთ გაავაკეთილშობილროთ ოჯახი, რომელიც ასე თანდათან ძირს ეცემა და რომლის სიწმინდე მიუწოდმელი იდეალი გამხდარა ხალხისათვის. ჩვენ გვინდა მივახწიოთ იმას, რომ ოჯახმა ყველას თავის ლოცვა-კურთხევა მოჰფინოს და ბედნიერება მიანიჭოს. ჩემდა დიდათ გასახარელათ, კრებაზე ქალებსაც ვხედავ; ეს დასამტკიცებელი საბუთია იმის, რომ ქალებმაც გაიგეს, რა ახლოს ეხება მათ სოციალური მოძრაობა, რა დიდათ საინტერესოა მათთვის ჩვენი პრინციპების გამარჯვება. ახლანდელ დროში ბევრს ლაპარაკობენ ეგრეთ-წოდებულ დედათა კითხვაზე. ჩვენთვის არ არსებობს ცალკე დედათა კითხვა და არც შეიძლება არსებობდეს, რადგანაც ადამიანთა ინტერესები, კაცის იქნება თუ ქალის, სულ ერთია. დედათა კითხვა ნაწილია დიდებულ სოციალურ კითხვისა; დედათა კითხვაც მასთან ერთათ იქნება გადაწყვეტილი, უმისოთ-კი—არასოდეს. ვინც ელტვის დედათა ემანსიპაციას (გათავისუფლება-გათანასწორებას) და არ იბრძვის საყოველთაო სოციალურ ემანსიპაციისათვის, ის სულ ტყუილ-უბრალოთ კარგავს დროს, იმას უიმედო, უთავბოლო მუშაობისთვის მიუყვია ხელი. მარა ის, ვინც იბრძვის საყოველთაო სოციალურ ემანსიპაციისათვის, იბრძვის ამასთანავე ქალების ემანსიპაციისათვის. მართლაც, საკმაოა გავითვალისწინოთ ქალების მდგომარეობა თანამედროვე საზოგადოებაში, რომ სოციალისტური

მოდრაობა გავამართლოთ, ხოლო ის საზოგადოება-კი, რომელმაც დედაკაცი ასეთ პირობებში ჩააყენა, სამარცხენო ბოძზე გავაკრათ და სიკვდილით დავსაჯოთ. აბა სადაა ის „ოჯახური სიწმინდე“, რომელზედაც ჩვენი მოწინააღმდეგენი ზღაპრებს გვიამბობენ ხოლმე? აბა, იქნებ ეს „ოჯახური სიწმინდე“ იმ ასი ათას როსკივებში ვპოვოთ, რომლებითაც სავსეა დიდი და პატარა ქალაქების ქუჩები და რომლებიც თავის სხეულს ამას მიჰყიდიან, ვინც მეტ ფულს შეაძლევს? მარტო ბერლინში 20,000 როსკივი-ქალია და ბერლინი ხომ სხვა ქალაქებზე უფრო „გარყვნილი“ არაი? გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკაში— ყველგან, სადაც-კი კლასობრივი წინააღმდეგობა არსებობს, სადაც-კი დიდი უფსკრულია ღარიბთა და მდიდართა შორის, სადაც ადამიანებისაგან ადამიანების ყველფა, ეკსპლუატაცია ჩვეულებათაა გადაქცეული, კანონია, იქ ყველგან ჩვენ ვხედავთ პროსტიტუციას, როსკივობას. პროსტიტუცია ადგილობრივი და ეროვნული მოვლენა როდია—არც ერთ ერს უფლება არა აქვს ფარისევლურად ხელი დაიბანოს და თქვას: მადლობა ღმერთს, მე იმისთანა ცუდი არა ვარ, როგორც სხვა ერებია. **პროსტიტუცია აუცილებელი შედეგია გაბატონებულ პირობებისა,** ის დამატებაა ბურჟუაზიულ ქორწინებისა, ის მისი საზიზღარი ტყუპია. ის საყოველთაო საზოგადოებრივი დაწესებულებაა და ამიტომ ყოველნაირი ცდა პროსტიტუციის მოსასპობად თანამედროვე საზოგა-

დოებაში ფუქია, ასეთი ცდა თვითონ პროსტიტუციას სიცილადაც არ ყოფნის. დიდი, ძალიან დიდი საქმე იქნება, თუ ის თვალმაქცურ ზნეობის პოლიციას ნებას მისცემს ბაზრიდან შორე ქუჩებში გადენოს იგი. სანამ ასი ათას ქალს არაფერი დარჩენია იმის გარდა, რომ ან შიმშილით დაიხოცონ, ან-და ფულზე გაყიდონ თავის თავი, მანამ პროსტიტუცია იარსებებს. ის გაქრება მხოლოდ მაშინ, როცა ყოველკაცს საშვალეება ექნება პატიოსნათ იცხოვროს; ამისათვის-კი საჭიროა გადაკეთება თანამედროვე საზოგადოებისა, წარმოების თანამედროვე წესისა. სრულიად ზნეობა—დაცემული როსკიპიც ღირსია ჩვენი თანაგრძნობისა, ჩვენი სიმპატიისა; მისი ისტორია საზოგადოებრივი ტრაგედიაა, რომელიც შეაძრუწუნებს ყველას, ვინც-კი მკერდში ადამიანის გულს ატარებს და ვისაც ადამიანის გულში კითხვა შეუძლია. საძაგელი აღზრდა, საძაგელი მაგალითი,—ოჯახის უქონლობა, შიმშილი—აი რა მიერეკება ადამიანს პროსტიტუციისაკენ: აბა, ვინ გაბედავს ქვა ესროლოს ამ ზნეობა-დაცემულ არსებებს? საზოგადოების ამ უბედურ მსხვერპლებს? განა რას წარმოადგენს პროსტიტუცია, თუ არ მრავალ-ცოლობას? მრავალ-ცოლობას მეტის-მეტათ გარყვნილი და ტლანქი სახით! და ამის შემდეგ ჩვენ გვაბრალევენ, ვითომც გვსურდეს მრავალ-ცოლობის შემოღება? ჩვენ რომ ის გვინდოდეს, მაშინ ხომ თანამედროვე საზოგადოებას ომს არ გამოვეუცხადებდით.

მე წედან ვოქვი, პროსტიტუცია საზიზღარი ტყუპია ბურჟუაზიულ ქორწინებისა-მეთქი. განვიხილოთ ქორწინება თანამედროვე საზოგადოებაში! განა ქორწინება პროსტიტუციად არაა გადაქცეული კაპიტალის წყალობით? განა ის დაფუძნებულია საზოგადოთ სიყვარულზე ან ერთმანეთის თავისუფლათ შეთვისებაზე? განა აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა საკუთრებას არ აქვს? ქორწინება სიყვარულით—განა ეს აკრძალული არაა უმაღლეს კლასებში? განა სწორეთ არ ასწონ-დასწონიან ხოლმე ერთმანეთის ქონებას? განა სისულელეთ არ მიაჩნიათ ცოლათ შეირთონ ქალი „უბალ წოდებიდან“? განა არ ამბობენ ხოლმე—ესა და ეს ღარიბი მშობლები „ქკვიანურათ“, „პრაკტიკულათ“ იქცევიან, თავის ქალიშვილს რომ ძალას ატანენ ცოლად წაყვეს გარყვნილ გათახსირებულ მდიდარსო? როგორ გგონიათ, რა თვლით შეხედავენ მექარხნეს მისი ამხანაგები, თუ ის თავის ქალიშვილს შეყვარებულ მუშას გაატანს, —ასეთ მდიდარს საგიჟეთის კანდიდატად ჩათვლიდენ. პირიქით, საყოველთაო მოწონებას დაიმსახურებს, თუ ის თავის ქალს ძალით გაატანს ცოლათ მდიდარ ბურჟუას, რომელიც მხოლოთ „ანგარიშით ირთავს მას“ და ქალს-კი ჭირივით ეჯავრება. განა ეს პროსტიტუცია არ არას? განა ქალი დღეს სავაჭრო საგანი არაა? და ეს კარგათ დაიხსომეთ, ასეთი ამბები ხდება არა მარტო „მაღალ“ საზოგადოებაში,

არამედ ქორწინების პროფანაციას, სიყვარულის პროსტიტუციას ვხედავთ საზოგადოების ყველა კლასებში, სადაც-კი ფულს თაყვანს ცემენ.

მე აქ მახსენდება სცენა ერთ სახუმარო ჟურნალიდან. ზის ორი გლეხი, ერთი გლეხის ვაჟს უნდა ცილად შეერთოს მეორე გლეხის ქალი.

„ჩემმა შვილმა ამდენი და ამდენი ქცევა მიწა მიიღო, ამდენი და ამდენი ხარი, ძროხა, ცხენი“.

„რას მიიღებს შენი ქალი?“

„მე შემიძლია მივცე მას მხოლოდ ამდენი და ამდენი“.

„ეს ძალიან ცოტაა, მოუმატე კიდევ თითო წყვილი ხარი და ძროხა“.

„მე მეტი არ შემიძლია“.

„მაშ ჩვენ ვერ მოვრიგდებით, მშვიდობით“.

ეს სურათი ცხოვრებიდანაა ამოღებული. ვერც ერთი იუვენალი ამაზე უფრო გესლიან სატირას ვერ დასწერდა. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი კულტურით, ჩვენს თავს ველურებზე გაცილებით მაღლა ვაყენებთ და ქალიშვილებს-კი ხარებზე და ძროხებზე ვყიდით სამხრეთ-აფრიკელ კაფრებივით. რატომაც არა? ჩვენი საზოგადოება დაფუძნებულია ადამიანის დაჩაგვრაზე; მან ადამიანი სავაჭრო საქონლად გადააქცია და ქალმაც თვისი სხეული უნდა გაყიდოს — ეს მხოლოდ ნაწილია იმ წესების, რომელიც მუშას აიძულებს თვისი შრომა გაყიდოს, ე. ი. ყიდოს თავისი თავი

სულთან და ხორცთან ერთად. მარა, რასაკვირელია, აქ არსებითი განსხვავებაცაა: ის რისთვისაც დაქირავებული მონა თავს ყიდის, საზოგადოთ-საჭირო შრომაა, და ეს შრომა მხოლოდ თანამედროვე საზოგადოებაში გამხდარა მუშისათვის სატანჯველი, ხოლო ის კი, რისთვისაც როსკიში ქალი ყიდის თავს, ყველაზე უფრო სამარცხვინო წაბილწვაა სიყვარულისა და მასთან ერთად წაბილწვაა კაცობრიობის ბუნებისა. სიყვარული ბუნებისაგან **მოცემულია**, მას არ შეუძლია **გაყიდოს** თავის-თავი. თუ ის ყიდის თავის თავს, ცოლ-ქმრობაში იქნება ეს, თუ ქორწინების გარეშე **ეს პროსტიტუციაა**. ყოველი კავშირი მამა-კაცსა და დედა-კაცს შორის, სიყვარულით შეკრული, ღვდელმაც რომ არ დალოცოს—ქეშმარიტი ქორწინებაა.

მარა დედა-კაცი სავაჭრო საქონლის მეორე სახესაც ატარებს თანამედროვე საზოგადოებაში. განა გაუმადლარმა კაპიტალმა, რომელსაც მაღა, მსხვერპლების გადაყლაპის შემდეგ, კიდევ უფრო უძლიერდება, დაქირავებულ მონობის ბორკილი ქალსაც არ დაადვა ისე, როგორც მამა-კაცს, და განა ორივე არ ჩაყარა მუშების ბასტილიაში—ეგრეთ წოდებულ ქარხნებში? განა ამით ფაქტიურად უკვე არ დაარღვია მან მუშა ხალხის „ოჯახი“? მარა ეს კიდევ რაა? კაპიტალი თავის გაუმადლობით ბავშვებსაც-კი მითრევს თავისი კაცი-ჭამიობის საკურთხევლისაკენ.

ქმარი, ცოლი, შვილები—ყველა დაქირავებული მოწეობა! სადღაა შინაური „კერა“, ურომლისოთაც შეუძლებელია ოჯახური ცხოვრება? და, მიუხედავად ამისა, კაპიტალი მკერდზე მუშტს იცემს და ცას ემუდარება დაიფაროს იგი ბოროტ სოციალ-დემოკრატებისაგან, რომელთაც „სურთ ოჯახი მოსპონ! ჰეი, თქვე თვალმაქცებო, თქვენა! ხანჯებო!

მას, მუშას არ აქვს ოჯახი! **თქვენ** მოპარეთ იგი მას! მარა მას **უნდა** ქონდეს ოჯახი, რომ კაცი, ადამიანი გახდეს და ამიტომაცაა იგი სოციალ-დემოკრატი!

შრომა საფუძველია მთელი კაცობრიობის პროგრესისა, მხოლოდ შრომის წყალობით კაცობრიობა ცხოველებზე მაღლა დადგა, განთავისუფლდა ბუნების მონობისაგან. მარა განმათავისუფლებელი საშუალება დამჩაგვრელ საშუალებათ გადაიქცა. იმის მაგიერ, რომ შრომის წყალობით თავისუფალი გამხდარიყო, მუშა გადიქცა შრომის მონად. აი, ამ მონობისაგან უნდა განთავისუფლდეს მუშა. ის არ უნდა იყოს ცოცხალი **მანქანა** რომელმაც ადამიანი უბრალო ვინტად გადააქცია, მუშა დღეს მკვდარი მაშინის მიმატებაა მხოლოდ და მას ეწოდება ფეიქარი, დურგალი, მაშინის მკეთებელი. ის უნდა იყოს **ადამიანი**, რომელიც ქსოვს, დურგლობს, აკეთებს მაშინებს, რომ თავისი საზოგადოებრივი მოვალეობანი ასრულოს. მარა მუშა, რომელიც ყოველ დღე 12, 14, 16 საათს სახელოსნოში, ქარ-

მაშინ ატარებს და ბინა ხშირად ძალიან შორს აქვს, დრო არა ყოფნის, რომ ადამიანად გახდეს. და-
ღლილ-დაქანცული ბრუნდება შინ, წვება დასაძი-
ნებლად და მეორე დღით, ჯერ კიდევ დაქანცუ-
ლი წინა დღის მუშაობით, ხელახლავ სამუშაოთ
მირბის.

ეს ადამიანური არსებობა არ არის, ის-კი არა-
და თითქმის პირუტყვის მდგომარეობაზე უარესია.
არც ერთი გლეხი ასე არ მოქანცავს მუშაობით თა-
ვის ცხენს, თავის ხარს და სხვა საქონელს. მარა
კაცი ცხოველზე უფრო მომთმენია და საბედნიეროთ
უფრო ამტანიც. აი, სწორეთ იმით, რომ თანამე-
დროვე საზოგადოებამ დაარღვია ოჯახი, დაამცირა
დედა-კაცი, სწორეთ ამით უფრო, ვინემ სხვა თავი-
სი დანაშაულით, თავისთავს არსებობის უფლება მო-
უსპო, ხელი მოაწერა თავის სასიკვდილო განაჩენს.
იმ საზოგადოებას, რომელმაც პროსტიტუცია ოფი-
ციალურ საზოგადოებრივ დაწესებულებად გადააქ-
ცია, უფლება არ აქვს წარმოსთქვას სიტყვა „ზნეო-
ბა“ ისე, რომ არ გაწითლდეს; ეს საზოგადოება გან-
წირულია და უნდა დაიღუპოს ადამიანის ზნეობრი-
ვი გრძნობის აღშფოთების გამო, რომელიც დაჩა-
გრულებს კიდევ უღვივით მკერდში.

დედა-კაცი უფრო ფაქიზი ნერვებისა და გრძნო-
ბის პატრონია და ამიტომ უფრო ღრმათ გრძნობს
თავის დამცირებას, ვიდრე მამა-კაცი. კიდევ ესაა
მიზეზი, რომ დედაკაცი ასეთი აფრთოვანებით იღებს

მონაწილეობას სოციალისტულ მოძრაობაში, რომელიც მას თავისუფლებას და ღირსებას პირდება. ამიტომაც იყო, რომ დედა-კაცებს იმისთანა საპატიო ადგილი ეჭირათ კომუნის გმირულ ბრძოლაში: ახალ-გაზრდა დედები, ძუძუ-მწოვარა ბავშვებით ხელში, შეუპოვრად იდგენ ტყვიების ქვეშ და ამხნევებდნენ თავიანთ ქმრებს; ქალიშვილები ხელს ტაცებდნენ ხოლმე და აფრიალებდნენ იმ დროშებს, რომლებიც მომაკვდავ ხალათიან მებრძოლთ უვარდებოდათ ხელიდან, და უშიშრად მიქონდათ პირდაპირ მტრებზე, სანამ თვითონაც სალდათის ტყვიისაგან გაგმირულნი ძირს არ დაეცემოდნენ. ასობით დატუსაღებული დედა-კაცები და ქალიშვილები ამაყათ და შეუდრეკლად უშვერდნენ მკერდს ტყვიას და ხანჯალს, ხმა-მალლა გაიძახოდნენ „კომუნას გაუმარჯოსო“, და როცა კვდებოდნენ, ზიზღს უცხადებდნენ გამარჯვებულებს. „საზიზღარი გადამწველები! „როსკიპები“! „ზნე-დაცემულნი, რომელნიც მხოლოდ ზიზღს იწვევენ ადამიანში“! ყვიროდა ერთ ხმათ რეაქციონური ბურჟუაზიულ მწერლობა. „საზიზღარი გადამწველებიო“? ეს ხომ საზიზღარი ბურჟუაზიული სიცრუეა! სამარცხვინო არაკია, მოგონილი გათახსირებულ ადამიანებისაგან და კვერ-დაკრული სულელებისაგან,—ეს ცილის წამება ახლა უკვე უარ ყოფილია თვითონ, ცოტა უფრო პატიოსან მოწინააღმდეგეთაგან. „როსკიპებიო“?

უეჭველია, ისინიც იყვენ იქ, მარა ეს იყო სულ მცირე ნაწილი როსკიპებისა.

მარა განა კომმუნამ გახადა ისინი ასეთებათ.

არა, ბატონო ბურჟუებო! *) ის იყო **თქვენი** საზოგადოება, თქვენი მშვენიერთა მშვენიერი ქვეყანა, რომელმაც ამ ქალებს სამარცხვინო წამბილწველი დალი დასვა. კომმუნამ-კი შეაძლებინა მათ ხელახლავ წამომდგარიყვენ და განთავისუფლებულიყვენ **თქვენი** საზოგადოების ტლახისაგან, და თქვენ კიდევ გიკვირთ, რომ ძველი საზოგადოების—პროსტიტუციის საზოგადოების—საშინელმა დემონიურმა სიძულილმა მუჯღუგუნნი წაჰკრა მათ საბრძოლველად, ისინიც ალ-მოკიდებულ აღფრთოვანებით იბრძოდნენ კომმუნარებთან ერთად და ეს ნახევრად ანგელოზები, ნახევრად ალ-ქაჯები მედგრათ მიდიოდნენ წინ სასიკვდილოთ წმინდა საქმისათვის, რომ ამით თავიანთი სამარცხვინო ცხოვრება გამოესყიდათ და თან თავიანთ დამლუპველ უსამართლოებისათვის შური ეძიათ. ოჰ, ამ ქალურ თვისების დამკარგველ განწირულ არსებებში თავი წამოჰყო ქალის შეურაცხყოფილმა სიამაყემ და მწარეთ უკბინა თქვენს საზოგადოებას.

თქვენ ამბობთ, ქრისტიანები ვართო, მარა განა დაგავიწყდით, როგორ დატუქსა თქვენმა ქრისტიმ

*) ამ სადღესასწაულო კრებაზე მრავალი მოწინააღმდეგეც დაესწრო.

პირმოთნე ფარისევლები, ხანჯები, რომელთაც ცოდვილი ქალი ქვევით უნდოდათ ჩაექოლათ და თქვენ კიდევ ბედავთ სიკვდილის შემდეგ ლანძლოთ ისინი, ეს მსხვერპლნი თქვენი საზოგადოებისა, წამებულნი ახალ მოძღვრებისა, რომელიც მონებს მათი მონობის დასასრულს უჩვენებს, ქალს-კი—დასასრულს მათი პროსტიტუციისას?

მეგობრებო, თქვენ კარგათ გაიგეთ, რომ დედათა კითხვა განუყრელათ შეკავშირებულია საყოველთაო სოციალურ კითხვასთან და ამიტომ ჩვენთვის დიდათ საჭიროა, რაც შეიძლება მეტ ქალს მონაწილეობა მივალდებინოთ ჩვენს მოძრაობაში. ქარხნის მუშების და ხელოსნების პროფესიონალური კავშირი, მასთან ერთად კრიმინალურ კავშირიც, არ ასხვავებს ერთი მეორისაგან ქალისა და კაცის შრომას—ამნაირმა ორივე სქესის ფაქტიურმა გათანასწორებამ უფრო მეტი გააკეთა ქალთა ემანსიპაციისათვის, ვიდრე ერთად აღებულმა ყველა ჩვენმა ქალთა კავშირებმა, თუმცა მათ თავიანთი თავი თითქო „ქალთა კითხვის“ ერთად-ერთ ჭირისუფლებად მიაჩნიათ. დედა--კაცი აუცილებელი დამატებაა მამა-კაცისა, —მამა-კაცი უქალოდ ვერ შესძლებს აღამიანობას. ქალის დაუნმარებლად კაცი ვერ განახორციელებს ვერავითარ იდეალს. ამიტომ ჩვენი მოძრაობისათვის აუცილებელია დედაკაცის დახმარება. მათმა მოვალეობამ და მათმა ინტერესებმა უნდა აიძულონ ისინი ჩვენთან ერთათ სწიონ ბრძოლის ჭაპანი. დედაკაცე-

ბი ყველაზე უფრო მეტად გრძნობენ თანამედროვე საზოგადოების სიდუხჭირეს და უსათუოდ უფრო კარგათ შეიგნებენ სოციალურ ემანსიპაციის სარგებლობას. ამიტომ, არც ერთმა დედაკაცმა, არც ერთმა ქალიშვილმა არ უნდა დაუშალოს თავის ქმარს, თავის შეყვარებულს მოძრაობაში მონაწილეობის მიღება; პირიქით, ქალმა კიდევ უფრო უნდა გაუღვივოს კაცებს გულში ცეცხლი და კიდევ უფრო უნდა შეჰმატოს ძალა, როცა ისინი დასუსტდებიან; ყოველმა დედამ თავის შვილებს უნდა უქადაგოს, ჩაუნერგოს თანასწორობისა და თავისუფლების სახარება, რომ აღიზარდოს ისეთი თაობა, რომელიც თავისი ადამიანური ღირსების ამაყი შეგნებით უარს ყოფს ბატონებს და მონებს.

მეგობრებო! კიდევ ერთი საყვედური უნდა დავარღვიო და მით გავათავებ ამ ნაწილს ჩემი სიტყვისას. ამბობენ, რომ ჩვენ გვინდა ბურჟუაზიის დამხობა და მის ნანგრევზე **მუშათა კლასის გაბატონება**. ჩვენი პროგრამა ამას უარ ყოფს. მართალია, ჩვენ მოწადინებული ვართ ბურჟუაზიის ბატონობა დავამხობთ, და ამით დავამხობთ საზოგადოთ ყოველივე კლასობრივი ბატონობა. ბურჟუაზია ჩვენზე თავისებურად მსჯელობს. მან მოსპო ფეოდალური სახელმწიფო, რომ მის ნანგრევებზე ბურჟუაზიული სახელმწიფო აღემატა. მან დაარღვია ერთი კლასობრივი ბატონობა მეორის დასამყარებლად. პროლეტარიატს სხვა, უფრო დიდი მიზანი აქვს! ის მე-

ტის მეტად იტანჯებოდა კლასსობრივი ბატონობის უღელ ქვეშ, ამიტომაც პრინციპიალური მტერი გახდა ყოველივე ბატონობისა. რომელ კლასზე გაბატონებას მოინდომებდა პროლეტარიატი? ის ხომ ყველაზე დაბალ კლასს ეკუთვნის? მაშასადამე არც არის სხვა ისეთი კლასი, რომელზედაც გაბატონება და რომლის გაყვლეფაც მას შეეძლოს. ის, რასაც ჩვენ ველტვით, საზოგადოების ამხანაგური ორგანიზაციაა—ყველასათვის ერთნაირ უფლებებით. სწორეთ ისე, როგორც სოლიდარობამ გვარეულობის, ერის ზღუდეები გაანგრია (უკანასკნელის შესახებ გონებრივად და ეკონომიურად მაინც, თუმცა პოლიტიკურად-კი არა), სწორედ ასე უნდა გაანგრიოს მან კლასებისა და წოდებათა ზღუდეები, რომ კაცობრიობამ თავისუფლად განვითარება შეიძლოს. დეე, ნულა იქნებიან მყვლეფელნი და გაყვლეფილნი! დეე, ნულა იქნებიან ბატონები და მონები! დეე, ნულა იქნება ბატონობა და მონობა! წეს-რიგი თანასწორობაშია, ქვეშევრდომობაში-კ უწესრიგობა.

აი, რა გვინდა ჩვენ, და რომელი პატიოსანი კაცი ჩამოგვართმევს ამას უსამართლოებად?

ამნაირად, მე გავარჩიე ყველა უმთავრესი ბრალდება, ჩვენ წინააღმდეგ წამოყენებული, და დავამტკიცე მათი უსაფუძლობა. მე გიჩვენეთ, რომ ეს ცილის წამებანი მხოლოდ კარრიკატურაა თვითონ ბურჟუაზიულ საზოგადოებისა, რომელმაც თავისი უსუფთაო სინდისის ზე-გავლენით თავის ავათ-მყოფ

ფანტაზიის ბურუსში ხედავს თავისავე საკუთარ დამახინჯებულ საზიერებას. მე გიჩვენეთ, რომ ის, რაშიაც ჩვენი მოწინააღმდეგენი და ძველი საზოგადოების მადიდებელნი ბრალსა გვდებენ, სწორეთ ის ძველი საზოგადოების საკუთარი ნაკლულევაება, დანაშაულობა და სიდუხჭირეა. მე გიჩვენეთ, რომ „გაყოფა“, „მრავალ-ცოლობა“ სისტემატიურად წარმოებს მხოლოდ ძველ საზოგადოებაში. მე გიჩვენეთ, რომ ძველი საზოგადოება სპობს საკუთრებას, ართმევს ხალხს ცივილიზაციის მადლს; ბოროტათ სარგებლობს კულტურით და თან ზარალსაც აყენებს მას. მე გიჩვენეთ, რომ ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, ბურჟუებთან შედარებით, პირველი მებრძოლნი ვართ „გაყოფის“ და „მრავალ-ცოლობის“ წინააღმდეგ. მე გიჩვენეთ, რომ სწორეთ ჩვენ გვინდა უწყსრიგობის და უთანხმოების ქვეყანაში თანხმობა და წეს-რიგი შევატანოთ. ერთი სიტყვით, მე გიჩვენეთ, რომ მოწინააღმდეგეთა ყველა საყვედურები ჩვენ შეგვიძლია მათვე თავში მივარტყათ. ჩვენ ვიბრძვით საკუთრების წინააღმდეგ კი-არა, არამედ მისთვის, ქეს-რიგის წინააღმდეგ კი არა, არამედ მისთვის, თანხმობის წინააღმდეგ კი არა, არამედ მისთვის.

მე გიჩვენეთ, რომ მუშათა მოძრაობა კულტურული მოძრაობაა, რომელიც თამაშს კი არ შეუქმნია, არც თვით-ნებობას და შემთხვევას, არამედ ბუნებრივ აუცილებლობას, და ბუნებრივი აუცილებლობითვე გაიმარჯვებს იგი. მე გიჩვენეთ, რომ მხო-

ლოდ უსუსურობას და უმეცრებას შეუძლია სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობის სიმართლეში ექვი შეიტანოს. ყოველივე ცდა 'ამ მოძრაობის შეჩერებისა ისეთივე უიმედო და უაზროა, როგორც ხარის ცდა გაქანებული მატარებელი შეაჩეროს. როგორც გაქანებული მატარებელი გასრესავს ხარს, სწორეთ ისე სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა გადალახავს და გადაქელავს ყოველივე დაბრკოლებას, რაც კი წინ გადაელობება.

ეს კარგად უნდა გაიგონ, ამას კარგად უნდა ჩაუკვირდენ ჩვენი მოწინააღმდეგენი. ისინიც უნდა მიხვდენ, რომ **მათი ინტერესია** კატასტროფის (უბედურების) თავიდან აცილება! თანამედროვე ქვეყანას არ შეუძლია დამშვიდდეს. ინტერესები ერთმანეთს ეჯახებიან, რის შედეგადაც კლასთა ბრძოლა და ომია.

ჩვენი მოწინააღმდეგენი შეიძლება გავყოთ ორ რიგად: ერთნი გვებრძვიან თავიანთი **უმეცრების** გამო, მეორენი, — **ბოროტ-განზრახვით**. პირველებს მე ვეტყვი: კარგათ გაიცანით ჩვენი მოძრაობა! თქვენ აღარაფრის შიში აღარ გექნებათ, როცა კარგათ გაიცნობთ ამ მოძრაობას. შიში — ცუდი მარჩიელია. წითელი შოჩვენება, რომელიც თქვენ ეგრე გაფრთხობთ, ყველა მოჩვენებასავით უცოდინარობის ნაყოფია და გამოცდილი გონების წინ მყისვე ქრება. ეკონომიური პირობების შეგნება მხოლოდ შიშს კი არ აქრობს, ის სპობს ფანატიზმსაც. მეც-

ნიერებამ არ იცის ფანატიზმი. მეცნიერება გრძნობებით როდი ხელმძღვანელობს, ის უარ ყოფს მათ, — ის სწავლობს, იძიებს. მან იცის, რომ ყოველ მოვლენას თავისი საფუძვლიანი მიზეზი აქვს. ის ცდილობს ეს მიზეზი გამოიკვლიოს, გამოიძიოს, მარა მოვლენებს კი არ ეკამათება, არ ედავება. აბა მიჩვენონ მე ერთი ისეთი წარსული კულტურული მომძრაობა, რომლის შეყენება, შეჩერება შესძლებოდათ და რომელსაც ბოლოს მაინც არ გაემარჯვოს მოწინააღმდეგეებზე? რაღათ უნდა გაიმეორონ ეს შეცდომა ჩვენ შესახებ? განა თანამედროვე საზოგადოებამ ისტორიიდან არ შეიძინა თავისი ცოდნა? ნუთუ ყოველი დიდი ხნის შეძენილი გამოცდილება ხელახლავ უნდა გამოვცადოთ ჩვენს თავზე? მაშინ ხომ ყოველი მეცნიერება, ყოველი კაცობრიული პროგრესი სიცრუე იქნებოდა.

ერთმა ინგლისის სახელმწიფო კაცმა თქვა ერთხელ, რომ პარტიების ისტორია კომპრომისების (დათმობის) ისტორიააო, ზოგიერთ შემთხვევაში ეს სავსებით მართალია? სამწუხარო მშოლოდ ისაა, რომ გაბატონებული პარტიები უმეტეს ნაწილად კომპრომისის მაშინ ახდენენ, როცა საწინააღმდეგო საშუალებანი უკვე შემოღვევიათ და უკვე იმდენად დაუკარგავთ თავისი ძალა, რომ მათი კომპრომისი სრულ გაკოტრებას ნიშნავს.

გაბატონებული პარტია, თუ მას გამჭირახობა

და ჭკუა არ აკლია, ხალხის ყოველივე მოძრაობის დროს კომპრომისს მიმართავს.

მხოლოდ ამისთანა კომპრომისების*) მეოხებით, მაშასადამე, რეფორმების საშუალებით, შეიძლება სოციალურ მოძრაობის მშვიდობიანი დაბოლოება მიეცეს და ისე მოეწყოს ძველი ქვეყნის ახლად გარდაქმნა, რომ რამდენათაც კი შესაძლებელია, დაცულ იქნას გაბატონებული კლასების ინტერესები.

ამიტომ, ამნაირი კომპრომისი უფრო საჭიროა ახლანდელ გაბატონებულ კლასების ინტერესებისათვის, ვიდრე ჩვენი ინტერესებისათვის, რადგანაც ჩვენ უკომპრომისოთაც, ეჭვი არაა, კიდევ უფრო ჩქარა და კარგათ მივალწევთ მიზანს. ვიღებთ რა მხედველობაში კაცთმოყვარეობის გრძნობას, ჩვენ კიდევ შეგვიძლია დავთანხმდეთ კომპრომისს მაშინ, როდესაც ჩვენი მოწინააღმდეგენი კომპრომისს მხოლოდ თავის პირად ინტერესთა სასარგებლოთ მიმართავენ. გვსურს თუ არა ჩვენ კომპრომისი, ეს, სხვათა შორის, სულ ერთია, მარა მოხდება თუ არა ის, ეს კი დამოკიდებულია მხოლოდ ჩვენს მოწინააღმდეგეებზე. თუ ბურჟუაზია კომპრომისს მოინდომებს, ის მოხდება, იმის მიუხედავად—გვინდა თუ არა ის

*) კომპრომისი ნიშნავს იმისთანა მდგომარეობას, როცა, წარსულთან სრულიად კავშირის გაწყვეტის მაგიერ, ჩნდება პარტიებთან შეთანხმებით გარდამავალი მდგომარეობა.

ჩვენ. ბურჟუაზია განაგებს პირდაპირ, ან სახელმწიფოს საშუალებით ჯარს, კაპიტალს; ხელში უპყრია პრესა, ერთი სიტყვით, ფლობს ძალა-უფლების ყოველივე მატერიალურ და გონებრივ საშუალებებს; მაშასადამე, მას ძალ-უძს საფუძველი დაუდოს სოციალური კითხვის გადაწყვეტას კომპრომისისა და რეფორმების შემწეობით. საკმაოა მოინდომოს, მარა იმისათვის, რომ მოინდომოს, მან, რასაკვირველია, უნდა შეიგნოს, რომ ახლანდელ პირობების დედა-ძარღვი უსამართლობაა. პატიოსან მოწინააღმდეგებს ამიტომ კიდევ ერთხელ ვურჩევ: შეისწავლეთ სოციალური კითხვა! გაგება, შეგნება სოციალური კითხვისა, ნიშნავს მის გადაწყვეტას, ახსნას. სტინქსის გამოცანა **ადამიანი იყო**. ადამიანია აგრეთვე გამოცანა სოციალური კითხვისა. სანამ ეს გამოცანა არ იქნება ახსნილი, ქვეყანა არ დაწყნარდება, და სტინქსი სოციალურ კითხვისა მუდამ განაგრძობს თავის სახიფათო სახის ჩვენებას, საზოგადოებას ერთი საშინელებიდან მეორე საშინელებისაკენ გაღის სვრის ხოლმე, ერთი სისხლის ზღვიდან მეორეში.

ნუ თუ ძველი და ახალი ქვეყნის ჯურღმული მკვდრებით უნდა აივსოს. ის ცეცხლის ალი, რომლისგანაც თანამედროვე საზოგადოების გადარჩენას ცდილობს, ხომ მხოლოდ მის წარმოდგენაში არსებობს და მხოლოდ შიშის ზე-გავლენით შეიძლება გადაიქცეს ~~საინამდვილე~~ ნუ თუ შეუძლებელია, მოუხერხებელმა აშენდეს ხიდი, რომელიც უეჭველია ახალ ქვეყანაში შეგვიყვანს.

ჩვენ არ ძალ-გვიძს ექნათ ეს. ჩვენ **მოწინააღ-მდეგებს-**კი შეუძლიათ, და თუ ამას იზამენ, ამით საუკუნო სამსახურს გაუწევვენ კაცობრიობას.

მე ვათავებ. ის რაც **ჩვენ** უნდა გავაკეთოთ, ჩვენთვის ცხადია. ჩვენ მივდივართ წინ ჩვენის მოვალეობის გზაზე. ჩვენ უნდა გვახსოვდეს დევიზი: **Noblesse oblige** *), არასოდეს არ დაგვავიწყდება, რომ ჩვენი საქმე კაცობრიობის საქმეა. როგორიც უნდა იყოს გადაწყვეტილება, ჩვენ ვიღებთ მას. ჩვენ თავისუფალნი ვართ კერძო შურისაგან, სიძულილისაგან, მტერშიაც კი ჩვენ პატივს ვსცემთ ადამიანს.

თქვენ კი, ჩემო მეგობრებო, მე მინდა გავახსენოთ: განაგრძეთ მუშაობა მშვიდათ და შეუჩერებელივ თქვენს კავშირში, ნუ დაიქანცებით, ნუ დაილღებით თქვენს მოღვაწეობაში, გაავრცელეთ ჩვენი იდეები—და, თუ როდისმე იგრძნოთ, რომ გამბედაობა გაკლდებათ, გაიხსენეთ პატიოსანი, კეთილშობილი იაკობი, რომელიც არასოდეს არ ირყეოდა, ყოველთვის მაგრათ იდგა თავის რწმენაზე, მაშინ როდესაც მის გარშემო ყველა ყოყმანში იყო, გაიხსენეთ მისი სიტყვები: „მუშათა სულ მცირე კავშირის დაარსებას უფრო დიდი ღირებულება ექნება მომავალ კულტურის ისტორიკოსისათვის, ვიდრე ბრძოლის დღეს საღოვოსთან“.

*) კეთილ-გონიერება დიდ მოვალეობას ავალებს



